საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 7 (551) ოთხშაბათი, 13 იანვარი, 1993 წელი ფასი 3 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრიდან გვაცნობებს, რომ 11 იანვარს საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილებმა ოჩამჩირისა და გალის რაიონის საზღვართან დილის 7 საათზე ალყა შემოარტყეს მოწინააღმდეგის დივერსიულ ჯგუფს 14 ცხენოსნის შემადგენლობით. 3 ცხენოსანი შეტაკებაში დაიღუპა, დანარჩენები კი დაატყვევეს. ჩვენი მხრივ მსხვერპლი არ არის.

მდინარე გუმისთაზე დღის განმავლობაში ძირითადად სიმშვიდე იყო შენარჩუნებული. 11 საათისათვის მოწინააღმდეგემ სოფელ ქვემო ეშერაში საბრძოლო პოზიციაზე გამოიყვანა ტანკი და ჩვენი მიმართულებით ისროლა რამდენიმე ჭურვი. მსხვერპლი არ არის.

17 საათისათვის მდინარე გუმისთის საავტომობილო ხიდზე შედგა მოწინააღმდეგე მხარეთა წარმომადგენლების შეხვედრა ტყვეთა გაცვლის პირობებზე მოსალაპარაკებლად, მომდევნო შეხვედრა გაიმართება ამ დღეებში.

იოსებ გოზაჩია.

ირანში ვიზიტის წინ

12 იანვარს თეირანში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ვიზიტის მოსამზადებლად, რომელიც 20 იანვრისათვის არის დასახული, გაფრინდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის თანამშრომელთა, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ჯგუფი.

გამგზავრების წინ დელეგაციის მეთაურმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ მიხეილ უკლებამ საქინფორმის კორესპონდენტს იური გოლდმანს განუცხადა, რომ ქართველი და ირანელი სპეციალისტები იმუშავებენ, კერძოდ, საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო ტრანსპორტის, ირანში მთელი რიგი ობიექტების მშენებლობაში ქართველ მშენებელთა მონაწილეობის დარგში შეთანხმებებზე, ჩაის მრეწველობის, ვაჭრობის, საქონლის მოწოდებისა და მომსახურების ხელშეკრულებათა პროექტზე და ა. შ.

აფეთქდნენ მესანგრენი

სოხუმის მიმართულებით ელექტროგადამცემი ხაზის დაზიანებულ მონაკვეთზე მისი აღდგენის დროს ნაღმზე აფეთქდა ოთხი მესანგრე. ერთი დაიღუპა, მეორე უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ორი კი დაინვალიდდა. 12 იანვრისათვის ეს უკვე მეორე დღე-ღამეა, რაც ქალაქს ელექტროენერგია ეძლევა.

მესამეჯერ გაძარცვეს

უსიამოვნო სიურპრიზი შეემთხვა შობა დღეს საფრანგეთის წითელი ჯვრის წარმომადგენელს საქართველოში. უკანასკნელი ნახევარი წლის მანძილზე უკვე მესამეჯერ გაძარცვეს მისი მანქანა. ამჯერად მოიპარეს თარჯიმნის ქურთუკი და დოკუმენტები.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. საქმეს იძიებს ქალაქ თბილისის ვაკის პოლიციის განყოფილება.

ამ დღეებში

გვაცნობებენ
„საქართველოს
რესპუბლიკის“
და საქინფორმის
კორესპონდენტები

**ფაქტი
მოვლენა
კომენტარი**

ყველანი უნდა გავერთიანდეთ ერთიანი საქართველოსათვის

საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესია

რთული ვითარებაა საქართველოში. ამასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის გადაწყვეტილებით 12 იანვარს დაიწყო საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესია. დილის სხდომის გახსნისას საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილემ რუსუდან ბერიძემ მიულოცა პარლამენტარებს ახალი წელი, შობის დღესასწაული, უსურვა მათ და მათი სახით სრულიად საქართველოს, რომ 1993 წელს მშვიდობა დამკვიდრდეს ჩვენს სამშობლოში.

პარლამენტარებმა დაამტკიცეს მუშაობის დღის წესრიგი, რომელიც მოიცავს ქვეყნისათვის საკმაოდ მნიშვნელოვან და აუცილებელ საკითხებს.

სხდომაზე მოისმინეს დღის წესრიგის პირველ საკითხად გათვალისწინებული ბატონ ედუარდ შევარდნაძის ინფორმაცია.

— თუ ასეთ ძნელ ვითარებაში შეიძლება რაიმე დადებით შედეგებზე საუბარი, — თქვა მან, — ეს არის ის პირველი შედეგები, რასაც პარლამენტმა მიაღწია პრაქტიკულად თვე-ნახევრის განმავლობაში. ახლა ჩვენს საზოგადოებაში ცხარე კამათია პარლამენტის ირგვლივ. ბევრს მიაჩნია, რომ პარლამენტის არჩევა, მისი მუშაობა, შედეგები გარკვეულწილად ხელს უწყობენ ქვეყანაში სტაბილიზაციის დამყარებას. ქვეყანას, ასე თუ ისე, გარკვეული აზრით, გამოუჩნდა პატრონი, მუშაობს ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, რომელსაც ურთულესი პრობლემები აკისრია ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე. არის მეორე, საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომ პარლამენტი ვერ ასრულებს თავის მისიას, ვითარება საქართველოში რთული რჩება, ზოგ სფეროში უარესდება კიდეც. ეს ურთიერთგამომრიცხავი აზრი არ უნდა იწვევდეს ჩვენს გაკვირვებას.

ჩვენი შარშანდელი პოლიტიკური ცხოვრების, საზოგადოებრივი ყოფიერების უმთავრესი შედეგი პარლამენტის არჩევა, კანონიერების აღდგენა, უზენაესობის დამკვიდრებაა. დღეს საქართველოს ჰყავს უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, სახელმწიფოს მეთაური, თავდაცვის საბჭო, რომლებიც აუცილებელია ასეთ დროს ყველა სახელმწიფოსათვის, განსაკუთრებით კი იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც თავისი დემოკრატიული განვითარების რთულ ეტაპზე იმყოფება და პირველ ნაბიჯებს დგამს.

ვერ დავეთანხმები იმ ოპონენტებს, — თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — რომლებიც პარლამენტის მიმართ ნეგატიურად არიან განწყობილი. მე მგონი, ეს უცოდინარობის ბრალია, იმიტომ რომ ორი თვის განმავლობაში სრულიად ახალ პარლამენტს ვერ მოსთხოვ იმას, რის გაკეთებაც პრაქტიკულად შეუძლებელია. ბევრი პარლამენტის მუშაობას ვიცნობ, ბევრ ქვეყანაში დავსწრებივარ პარლამენტის სხდომებს და გარკვეული სიამაყით, ხმაურიანი ფრაზის გარეშე, მინდა განვაცხადო, რომ ჩვენი პარლამენტი გამოირჩევა ინტელექტუალური პოტენციალით, და გარკვეული აზრით, ცალკეული მიმართულებებით, პროფესიონალიზმითაც ბევრი ჩვენი პარლამენტარი ტოლს არ უდებს განვითარებული ქვეყნების პარლამენტარებს. დაგროვდა გარკვეული ცოდნა, გამოცდილება, დღეს შეიძლება ვილაპარაკოთ ჩვენი საპარლამენტო ცხოვრების საერთაშორისო ავტორიტეტზე, საერთაშორისო კავშირებზე და იმაზე, რომ ვიაროთ წინ, სრულვყოთ მუშაობის მეთოდები და პრაქტიკა, ავამაღლოთ ეფექტიანობა. შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ ისაუბრა პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციული ფორმების დახვეწაზე, კომისიების მუშაობის უკეთ ორგანიზებაზე.

ახლა უკვე, — აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა, — უფლება გვაქვს მოვთხოვოთ კომისიებს შეუდგნენ აქტიურ მუშაობას. ბევრი საკითხი, რაც პლენარულ სხდომებზე ირჩევა, შეიძლება კომისიებზე განიხილონ და შემდეგ უკვე აპრობირებული სახით გამოვიტანოთ სხდომებზე. თუ კომისიებში ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობა აეწყობა, ჩვენი პლენარული სხდომებიც მიიღებს ორგანიზებულ სახეს და უფრო შედეგიანიც იქნება. კომისიების როლი და ავტორიტეტი უნდა ავამაღლოთ. მიმაჩნია, რომ მათ განუსაზღვრელი ასპარეზი აქვთ მუშაობისათვის, უპირველესად კი მათ ამ ეტაპზე უნდა გააძლიერონ კონტაქტები სამინისტროებთან, უწყებებთან, ორგანიზაციებთან.

ერთ-ერთი მწვავე საკითხი არის იმ პროცესის დაჩქარება, რომელსაც კანონშემოქმედება ჰქვია. ახალ ქვეყანაში, რომელიც ახლა იდგამს ფეხს, როგორც დემოკრატიული წარმონაქმნი, დამოუკიდებელი სახელმწიფო, კანონები წარმოუდგენლად საჭიროა. იმ კანონების გარეშე კი, რომლებიც ჩვენ მივიღეთ, მოძრაობა შეუძლებელი იქნებოდა. უფრო აქტიურად უნდა იმუშაონ ის ინსტიტუტმა და სამეცნიერო ცენტრმა, რომლებიც ჩვენს ბაზაზე არსებობენ. მათ მიერ მოწოდებული მოსაზრებები, წინადადებები უნდა დაეხმაროს კომისიებს და პარლამენტარებს. თუ ეს გზა არ გავიარეთ, ძნელია ლაპარაკი ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაზე.

ახლა ხშირად ისმის საყვედური: საქართველოში ომის ვითარებაა და ეს არ იგრძნობაო. ამ საყვედურში გარკვეული სიმართლის ელემენტები არის, თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. ლაპარაკია აფხაზეთის კონფლიქტზე. ხშირად მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: ჩვენ ომისათვის არ ვემზადებოდით. იგი ჩვენ არ დაგვიწყია. ეს ნამდვილი ჭეშმარიტებაა. ამის დამტკიცება შეიძლება ფაქტებით, დოკუმენტებით, რომ ეს არ იყო საომარი შესვლა აფხაზეთში. ეს იყო ლოკალური მისია, რომელიც დაკავშირებული იყო ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან და მაგისტრალების დაცვასთან. ამიტომაც ყალიბდება გარკვეული მოსაზრებები, თუ რა გზებით გამოვიდეთ ამ კრიზისიდან.

ვერავითარ ომს, ვერც შინაურსა და გარეშე კონფლიქტს ვერ მოიგებს ქვეყანა ისეთი ეკონომიკით, რომელიც ჩვენ გვაქვს. ერთობ დარღვეული და მოშლილია ჩვენი ეკონომიკა, საკუთარი სახსრები საშუალებები თითქმის ამოწურულია. ასეთ ვითარებაში და ასეთ ფონზე გვიხდება ცხოვრება და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა. და ჩვენ უნდა ვიაროთ იმ გზით, რა გზაც ავირჩიეთ, უნდა გავუძლოთ ამ გზის სირთულეს და დემოკრატიის გამოცდას უნდა ჩავაბაროთ.

შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა ილაპარაკა სამანეთო ზონაში საქართველოს დარჩენის აუცილებლობაზე და აღნიშნა: სადღეისოდ პლანეტაზე არ მეგულება უარესი ზონა, ვიდრე სამანეთოა, მაგრამ ჩვენ დღეს საერთოდ არავითარი ზონა არა გვაქვს. ამიტომ უნდა დავრჩეთ იქ, ვიდრე გამოსვლას არ გვაიძულებენ. ახლა ეროვნულ ვალუტაზე გადასვლა ნიშნავს იმას, რომ ტომარაში ჩაძვრე და შემდეგ მას თავი მოუკრა. ასეთია ცნობილი სპეციალისტების დასკვნა.

როცა საქართველოს მრეწველობის საკითხებს შეეხო, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ მეტალურგიაში, ქიმიურ და ავიაციო მრეწველობაში, ზოგიერთ მანქანათმშენებელ და მსუბუქი მრეწველობის დარგებში შეიმჩნევა გამოცოცხლების სიმპტომები. ეს ის დარგებია, რომლებიც საექსპორტო პროდუქციას ქმნიან და აქ გარკვეულ აღმავლობასთან გვაქვს საქმე. თუ გამოცოცხლდება წარმოება, ჩვენი ბიუჯეტიც აივსება.

ვიმეორებ, ჩვენი საკუთარი სახსრები რესურსები არათუ შეზღუდულია, არამედ თითქმის ამოწურულია. ჩვენ ახლა ვცხოვრობთ იმ დახმარების ხარჯზე, რომელსაც სხვა ქვეყნებიდან ვიღებთ, რომ ასეთი მეგობრები არა, დღეს საქართველოში სავალალო ვითარება შეიქმნებოდა. ჩვენ ახლა აქტიურად ვმუშაობთ იმისათვის, რომ გავაღრმავოთ და აღვადგინოთ ურთიერთკავშირები მეზობელ სახელმწიფოებთან; კერძოდ რუსეთის ოლქებთან, საწარმო-დაწესებულებებთან, განვავითაროთ ახალი კონტაქტები უკრაინასთან, შუა აზიის რესპუბლიკებთან, დასავლეთის ქვეყნებთან.

ბრალს ნუ ვდებთ ერთმანეთს იმაში, რომ ვიღაცას ვიღაცის მონობის ქვეშ უნდა ამყოფოს საქართველო. ნორმალურად მოაზროვნე ასეთი კაცი მე ჩვენში არ მეგულება. მაგრამ რეალობა — რეალობაა და მას თვალი უნდა გავუსწოროთ ისე, როგორც არსებობს. ხალხი დაძაბულია, მოსახლეობა სულ რაღაცის მოლოდინშია. ხშირად მაქვს შეხვედრები, რომლის დროსაც მეკითხებიან, ხვალ რა არისო მოსალოდნელი, შევინარჩუნებთ თუ არა მშვიდობასო. ყველა პარტიის ლიდერს, ყველა მოქალაქეს მივმართავ თხოვნით, რომ არ სჭირდება ჩვენს ხალხს ზედმეტი დაძაბულობა და განერვიულება; ნუ მივიყვანთ ჩვენს საზოგადოებას იქამდე, რომ იგი უმართავი გახდეს. ყველანი გავიმსჭვალოთ იმ პასუხისმგებლობით, რომელიც სჭირდება დღევანდელ გარდამავალ ეტაპს და რომელსაც ერთობა და ერთიანობა სჭირდება. ვიდავოთ, ვიკამათოთ, მაგრამ — სერიოზულ საკითხებზე, თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. ნურავის ვდებთ ბრალს ბოლშევიზმში, ნურავის სურს, დაუპირისპიროს პარლამენტი შეიარაღებულ ძალებს, რომელსაც, თქმა არ უნდა, დიდი დამსახურება აქვს. საქართველოს პარლამენტი შეიარაღებულ ძალებს არ დაუპირისპირდება და არც შეიარაღებული ძალები დაუპირისპირდება პარლამენტს და ხელისუფლებას. ეს უპერსპექტივო საქმეა და ნურავინ შეეცდება წყლის ამღვრევას. ნურც იმას შეეცდებიან, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამსახურება დაუპირისპირონ დღევანდელ პარლამენტს, რომლის ღირსება, განსხვავებით ბევრი სხვა ქვეყნის პარლამენტისაგან, ის არის, რომ აქ წარმოდგენილი არიან ყოფილი დისიდენტები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები და ის ყოფილი კომუნისტები, ვინაც გაიაზრეს ყველაფერი, რაც ერთიანი, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებისათვის არის საჭირო. ტოტალიტარული რეჟიმის დროს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე ნგრევის ამოცანა იდგა. იგი შესრულდა. ახლა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელსაც ყველა ემხრობა, აღმშენებლობითი მისია ეკისრება. დღეს, ამ ურთულეს და უძნელეს პირობებში ყველანი უნდა გავერთიანდეთ ერთიანი საქართველოსათვის და ჩვენი პლატფორმები ხელს არ უნდა გვიშლიდეს ამ მიზნის განხორციელებაში.

საქართველოს მომავალი აქვს. ამაში ცხადლივ მაშინ ვრწმუნდები ხოლმე, როცა ოჩამჩირეში, სოხუმში ვხვდები იქ მეომარ ბიჭებს, ვხედავ მათ ანთებულ თვალებს, როგორ ურთულეს პირობებში იცავენ საქართველოს.

ჩვენ გვაქვს იმის რწმენა და იმედი, და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ საქართველო ერთ-ერთი აყვავებული ქვეყანა იქნება ახლო მომავალში.

შესვენების შემდეგ პარლამენტმა გააგრძელა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა. სამანდატო, საპარლამენტო ეთიკისა და პრივილეგიების კომისიის წარდგინებით პარლამენტარებმა მიიღეს დადგენილება, რომლის თანახმად უფლებამოსილება შეუწყდათ პარტიული სიებით არჩეულ გამოკლებულ პარლამენტის წევრებს და ცნობილი იქნა მათი ადგილმონაცვლეთა უფლებამოსილება.

შემდეგ პარლამენტმა განიხილა სამხედრო ფიცის ტექსტის პროექტი, რომელიც წარმოადგინა ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის კომისიის თავმჯდომარემ ნოდარ ნათაძემ. წარმოდგენილი იყო ალტერნატიული პროექტიც — პარლამენტის წევრის რევაზ ჭაფარიძის მიერ. კონსენსუსის შედეგად არცერთი პროექტი არ მიიღეს. გადაწყდა, პროექტის განხილვა გაგრძელდეს ორივე ვარიანტის შეჯერების შემდეგ.

სხდომაზე გამოსულმა პარლამენტის წევრმა ირინა სარიშვილმა თავის მოხსენებაში დააყენა ჩვენი [illegible] უაღრესად [illegible] სოციალურ-პოლიტიკური საკითხები. მოისმინეს აგრეთვე კახეთის რეგიონის რწმუნებულის გელა გოდერძიშვილის ინფორმაცია კახეთში მიმდინარე მოვლენებზე.

სხდომაზე გამოვიდა ედუარდ შევარდნაძე.

სხდომამ გვიან საღამომდე გასტანა.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.

საუბარი ეკლესიათა საბჭოს მისიასთან

11 იანვარს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საქართველოში სტუმრად მყოფი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსა და ევროპის ეკლესიათა კონფერენციის ფაქტების შემსწავლელი მისია, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მოწვევითაა ჩვენს ქვეყანაში ჩამოსული.

მისიას, რომელსაც ხელმძღვანელობს საეკლესიო და ეკუმენური ურთიერთობების მდივანი ჰუბერტ ვან ბიიკი, მიზნად აქვს დასახული, შეისწავლოს საქართველოში ეკლესიისა და სხვადასხვა სარწმუნოებების თანაარსებობის მდგომარეობა, გაერკვეს ცალკეული კონფლიქტების გამომწვევ მიზეზებში, აგრეთვე, გაუწიოს ჩვენს ქვეყანას ჰუმანური დახმარება ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ეგიდით.

სახელმწიფოს მეთაურმა სასულიერო პირებთან საუბრისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ისტორიას არ ახსოვს რელიგიური შეუთავსებლობის არც ერთი ფაქტი და რომ ეს უნიკალური გამოცდილება მომავალში შეიძლება არამარტო ჩვენთვის იყოს სასარგებლო, ვინაიდან, დღევანდელი მსოფლიოსათვის ეს ძალიან სერიოზული საკითხია. საუბრისას ხაზი გაესვა მსოფლიო ინტეგრაციის პროცესების დაჩქარების აუცილებლობას. საქართველოსთან მიმართებაში გამოითქვა რწმენა, რომ ისეთი სოლიდური ორგანიზაცია, როგორიცაა ეკლესიათა მსოფლიო საბჭო, თავის სიტყვას იტყვის ჩვენთან არსებული მდგომარეობის შესახებ, კონფლიქტის უახლოეს ხანში გადაწყვეტას სიმართლის დადგენითა და მისი საქვეყნოდ აღიარებით შეუწყობს.

სახელმწიფოს მეთაურის პრესცენტრის სამდივნო.

თუ მდგომარეობა არ გამოსწორდა, მეტროპოლიტენის მუშაკები გავიფიცებით!

ძვირფასო თბილისელებო და დედაქალაქის სტუმრებო!

თბილისში ტრანსპორტის საერთო პარალიზების გამო მკვეთრად გაიზარდა მგზავრთა ნაკადი მეტროპოლიტენში, რამაც გამოიწვია მისი ზენორმატიული გადატვირთვა, უარყოფითად იმოქმედა მოძრავი შემადგენლობის ტექნიკურ მდგომარეობაზე, გაართულა სამუშაო პირობები, გააძნელა მოძრაობის უსაფრთხოების დაცვა.

ამას ემატება სათადარიგო ნაწილებისა და მასალების დეფიციტი.

ასეთ პირობებში ჩვენი კოლექტივი მაინც ახერხებს იმას, რომ ტრანსპორტის ამ სახეობამ იმუშაოს და თბილისელებს ასე თუ ისე გავუადვილოთ დედაქალაქში მოძრაობა.

სამწუხაროდ, მგზავრების მიერ მეტროპოლიტენით სარგებლობის წესების უხეში დარღვევის გამო ყოველნაირად გვეშლება ხელი, ირღვევა მოძრაობის გრაფიკი, საშიშროება ექმნება მგზავრთა უსაფრთხოებას.

ხშირია შემთხვევები, როცა უცხო პირები, მათ შორის შეიარაღებული ფორმირებების წარმომადგენლები, ძალით და იარაღის მუქარით გვეჭრებიან მემანქანის კაბინებში, გვაყენებენ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. ამ დროს კი მოქალაქეები დახმარების ნაცვლად ჩვენვე გვიტევენ, რაც უარყოფითად მოქმედებს მემანქანეთა ფსიქიკაზე, ხელს გვიშლის მუშაობაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მგზავრთა მსხვერპლი.

არც თუ იშვიათად სათაო კაბინების კარებს ალებენ და ისე მგზავრობენ ბავშვებთან ერთადაც კი. კაბინაში კი არის დამონტაჟებული აპარატურა, რომელიც მაღალი ძაბვის ქვეშ იმყოფება, და ზოგიერთი მოწყობილობის უნებლიე შეხება შეიძლება მთელი შემადგენლობის კატასტროფის მიზეზი გახდეს.

მატარებელთა შორის ინტერვალის დაცვაზე უაღრესად უარყოფითად მოქმედებს მგზავრების მიერ ვაგონების კარების ხელით დაჭერა, მგზავრთა მეჯგუფება ერთ ადგილზე. ირღვევა ელემენტარული მოთხოვნა სიგარეტის მოწევის აკრძალვის შესახებ. შეგახსენებთ, რომ ვაგონის მთლიანად დაწვას სულ 7 წუთი სჭირდება.

სერიოზულ პრობლემებს გვიქმნის მოსაბრუნებელ სადგურებში ჩიხში შესვლისას ვაგონების მგზავრებისგან გათავისუფლება; ხდება ისეც, რომ ზოგიერთი მოქალაქე ავტოგადასაბმელებზე მდგომი მგზავრობს. თუ გავითვალისწინებთ მატარებლის მოძრაობის სიჩქარეს და ლიანდაგის პროფილს, ადვილი წარმოსადგენია, რა შეიძლება მოჰყვეს ამას.

შუალედურ სადგურებზე მატარებლის დაცლის დროს მემანქანეებსა და მეტროპოლიტენის თანამშრომლებს ფიზიკურად და სიტყვიერად შეურაცხყოფენ აბსურდული მოთხოვნით, რომ მატარებელმა გააგრძელოს მოძრაობა.

მაშინ, როდესაც ვაგონის ღირებულება სამოცდაათი ათასი მანეთიდან თორმეტ მილიონ მანეთამდე გაიზარდა, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გამონახა საშუალება მათი გარკვეული რაოდენობის შესაძენად. ზოგიერთი მგზავრის უდიერი და მავნებლური დამოკიდებულების მიზეზით იძულებული ვართ ხაზიდან მოვხსნათ მატარებლები დაჭრილი სკამების, დამტვრეული შუშებისა და უხამსი წარწერების გამო.

ანალოგიური მიმართვით არაერთხელ გამოვსულვართ საჯაროდ, მაგრამ, სამწუხაროდ, უშედეგოდ.

მოვითხოვთ, რომ უზრუნველყოფილი იყოს ჩვენი მოთხოვნების შესრულება და მეტროპოლიტენის თანამშრომლების პირადი უსაფრთხოება, დაცული იყოს ჩვენი ნორმალური მუშაობისა და მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობის პირობები.

თუ ერთი კვირის განმავლობაში არ ვიგრძნობთ ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილების ტენდენციას, ან ადგილი ექნება ჩვენი თანამშრომლების შეურაცხყოფის ფაქტს, იძულებული გავხდებით პირველივე შემთხვევაში შევწყვიტოთ მუშაობა.

იმედი გვაქვს, რომ დედაქალაქის მოსახლეობა, თბილისის სტუმრები დადებითად მოეკიდებიან ჩვენს სამართლიან მოთხოვნებს და ამოგვიდგებიან მხარში.

თბილისის მეტროპოლიტენის მემანქანეები.

თბილისის მეტროპოლიტენის მუშაკთა ამ მოთხოვნებში გასარკვევად და მათი ადგილზე შესწავლის მიზნით რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ზურაბ კერვალიშვილი 11 იანვარს შეხვდა აქაურ ხელმძღვანელობას, თანამშრომლებს, მემანქანეებს. საუბარი, რომელმაც მთელ ღამეს გასტანა, პრინციპული და უკომპრომისო იყო.

მემანქანეები გუშინვე აპირებდნენ სამსაათიანი გამაფრთხილებელი გაფიცვის მოწყობას და გარკვეული პერიოდის შემდეგ, თუ მათი მოთხოვნები უშედეგო გამოდგებოდა, მეტროპოლიტენი საერთოდ შეწყვეტდა მუშაობას.

შეხვედრის დროს ყოველმხრივ გაანალიზეს ის შედეგები, რომლებიც შეიძლება მოჰყოლოდა მეტროპოლიტენის ამგვარ გაჩერებას: შეიქმნებოდა რეალური საშიშროება არა მარტო ისედაც არეული ცხოვრების რიტმის სერიოზული დარღვევისა დედაქალაქში, არამედ ამ უხანზე უმართავი სიტუაციის შექმნისაც კი.

არადა, იმის მოთმენა, რაც მეტროპოლიტენში დღეს ხდება, შეუძლებელია. იგი ამ ბოლო პერიოდში გახდა დამნაშავე ელემენტების, მუქთახორებისა და უსაქმურების, მაწანწალების თავშეყრის ადგილი. ადგილი აქვს სადისტურ გამოხდომებსაც კი. არის შემთხვევები, როდესაც მთვრალები თავს ესხმიან მემანქანეებს, სხვა თანამშრომლებს, პირში ძალით ასხამენ მათ ღვინოს, აიძულებენ აკოცონ ტყვიას, რომლითაც, მათი თქმით, კაცი უნდა მოკლან, ლანძღავენ, ცემენ.

აშკარად არასაკმარისია სამართალდამცავი ორგანოების ის ღონისძიებები, რომლებიც პერიოდულად ტარდება ოპერატიული ვითარების გაჯანსაღების მიზნით. ქალაქის პოლიციის მუშაობა აქ ფაქტობრივად არ ჩანს, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს დახმარება ხანმოკლე. და უეფექტო აღმოჩნდა. მეტრო დღეს დაუცველია, მიუხედავად იმისა, რომ მისი ხელმძღვანელობის მცდელობით პოლიციელთა საშტატო რაოდენობა უკვე 220 კაცამდე გაიზარდა და იანვრიდან 115 საშტატო ერთეულის დამატების საშუალება გაუჩნდა, დაკომპლექტება მძიმედ მიმდინარეობს.

12 იანვარს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილესთან ზურაბ კერვალიშვილთან გაიმართა თათბირი დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების, მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობის მონაწილეობით, სადაც განიხილეს ზემოთ აღნიშნული საკითხები; აზრთა გაზიარების შედეგად დასახეს პრაქტიკული ღონისძიებები, რომელთა შედეგიანობა თბილისელებმა და დედაქალაქის სტუმრებმა დღეიდან უნდა იგრძნონ.

რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა გუშინვე გამოსცა განკარგულება, რომლითაც შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა განსაკუთრებული სპეციალური ღონისძიებები მდგომარეობის კარდინალურად გამოსწორებისათვის.

თავდაცვის სამინისტროს დაევალა მოაწყოს პატრულირება მეტროპოლიტენის სადგურებსა და მიმდებარე ტერიტორიებზე.

სამართალდამცავი ორგანოები მთელი სიმკაცრით განახორციელებენ კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს მეტროპოლიტენში საზოგადოებრივი წესრიგის, მუშაობის ნორმალური პირობებისა და უსაფრთხო მგზავრობის აღსადგენად.

ნომერში

⊙ თავისუფალ ქვეყანას თავისუფალი მეწარმე გადაარჩენს. 2

⊙ დიახ, ომი მშვიდობამ უნდა შეცვალოს! 3

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

პარტიული სიებით არჩეული გამოკლებული პარლამენტის წევრების ადგილმონაცვლეთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი, რომელმაც მოისმინა სამანდატო, საპარლამენტო ეთიკისა და პრივილეგიების კომისიის წარდგინება, **ადგენს:**

1. შეუწყდეს უფლებამოსილება „ქარტია 91“-ის საკომპენსაციო სიით არჩეულ პარლამენტის წევრს **გელა კობერიძეს** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილედ დანიშვნასთან დაკავშირებით. ცნობილ იქნეს მისი ადგილმონაცვლის **ბესარიონ ფაჩუაშვილის** უფლებამოსილება.

2. შეუწყდეს უფლებამოსილება ბლოკ „ერთობისაგან“ საკომპენსაციო სიით არჩეულ პარლამენტის გარდაცვლილ წევრს **ნუგზარ მიხანაშვილს.** ცნობილ იქნეს მისი ადგილმონაცვლის **გიორგი შაიშმელაშვილის** უფლებამოსილება.

3. შეუწყდეს უფლებამოსილება ბლოკ „მშვიდობისაგან“ არჩეულ პარლამენტის წევრს **მურთაზ ზანკალიანს** საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების მინისტრად დანიშვნასთან დაკავშირებით. ცნობილ იქნეს მისი ადგილმონაცვლის **ზურაბ მელქაძის** უფლებამოსილება.

4. შეუწყდეს უფლებამოსილება საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის საკომპენსაციო სიით არჩეულ პარლამენტის წევრს **აპოლონ კოჩმანაშვილს** საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილედ დანიშვნასთან დაკავშირებით. ცნობილ იქნეს მისი ადგილმონაცვლის **ანზორ ჩარქსელიანის** უფლებამოსილება.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
რ. ბერიძე.**

თბილისი, 1993 წლის 12 იანვარი.

ძვრები დაისახა, პრობლემები რჩება

12 იანვარს გაიმართა პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ტრადიციული შეხვედრა თბილისის მერიის ხელმძღვანელობასთან, რომელზეც, ალბათ, პირველად ითქვა, რომ ამ ბოლო ხანს, ქალაქში გაჩნდა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს სფეროებში, კრიმინოგენული ვითარების გაუმჯობესების საქმეში მუშაობის გააქტიურების რაღაც ნიშნები: მიუხედავად ამისა, ვითარების ნორმალიზაციაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია და საჭიროა, ძალების მაქსიმალური დაძაბვა, რათა რესპუბლიკის დედაქალაქმა შეიძინოს ცივილიზებული ქალაქის იერი, აქედან გამომდინარე, ყველა შედეგითურთ.

სწორედ ამაზე ლაპარაკობდნენ შეხვედრაზე გამოსული ქალაქის მერი ოთარ ლითანიშვილი, ვიცე-მერები ჯემალ ზამბახიძე, მერაბ მღებრიშვილი, ნოდარ ბერიძე, ქალაქის პროკურორი მიხეილ ქურდაძე, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსი დავით ზეიკიძე, ქალაქის კომენდანტი რევაზ დოლიძე, რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ვაჟა შანიძე, ქალაქის სამხედრო პროკურორი ალექსანდრე კოდუა, „საქენერგოს“ დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვაჟა მიტრეველი და სხვები.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ პურ-ფუნთუშეულის ვაჭრობაში დაისახა გარკვეული დადებითი ძვრები. ახლა ხორციელდება კიდევ მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა ხორცშესხმის შემდეგ შესაძლებელი გახდება ამ საქმეში წესრიგის დამყარება.

მართალია დაგვიანებით, მაგრამ ქალაქის თბომეურნეობა ამუშავდა და ამის წყალობით, მოხერხდა მკვეთრი აცივების უფრო სერიოზული შედეგების თავიდან აცილება. თუმცა, საქვაბეების მდგომარეობა, მათი შეკეთების შეუძლებლობა არ გვაძლევს საშუალებას, ასი პროცენტით უზრუნველვყოთ ქალაქი სითბოთი, ცხელი წყლით, გვაწუხებს ელექტროენერგიის ნაკლებობაც.

რთული მდგომარეობა შეიქმნა ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტზე. არ გვყოფნის ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი, არა გვაქვს მათი სათადარიგო ნაწილები. ამას ემატება საწვავის პრობლემაც. ასეთ სიტუაციაში ძირითადი დატვირთვა მოდის მეტროპოლიტენზე, რომლის მოძრავ შემადგენლობასაც სჭირდება რემონტი. საჭიროა აგრეთვე გადაისინჯოს სატრანსპორტო სქემა, რომელიც არ შეესაბამება დღევანდელობის მოთხოვნებს. მიწისზედა ელექტროტრანსპორტის მუშაობას ხელს უშლის ამ ბოლო ხანს გავრცელებული ისეთი მახინჯი მოვლენა, როგორიც არის საკონტაქტო ხაზების, სხვა მოწყობილობის დატაცება. საერთოდ, განსაკუთრებით რთული კრიმინოგენული სიტუაცია შეიმჩნევა ნებისმიერ სფეროში. სწორედ ამიტომ, დამნაშავეობასთან ბრძოლის შესახებ სჯა-ბაასს შეხვედრაზე განსაკუთრებით მწვავე ხასიათი ჰქონდა. ამ თემას ფაქტობრივად ყველა ორატორი შეეხო. აღინიშნა, რომ სამართალდამცავი ორგანოების მუშაობას სასურველი შედეგები ვერ მოჰყვება, თუ ბოლო არ მოეღო შეიარაღებულ ფორმირებათა თვითნებობასა და უწესობას ქალაქში, სადაც საიმედო თავშესაფარი პოვეს დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებმა — მკვლელებმა, მძარცველებმა, ბანდიტებმა, შეხვედრაზე მოიყვანეს კონკრეტული ფაქტები, როცა დაპატიმრებულ დამნაშავეებს იარაღის ძალით ათავისუფლებდნენ მათი ამხანაგები, თუმცა დაპატიმრებულთა ბრალი ცხადზე ცხადი იყო. ეს შეიარაღებული ფორმირებანი აშკარად უპირისპირდებიან სამართალდამცავ ორგანოებს. ამასთან დაკავშირებით, მოიწონეს სამხედრო პოლიციის, ქალაქის პოლიციის, შინაგანი ჯარებისა და კომენდატურის მუშაკთაგან თავისუფალი რაზმის შექმნის იდეა, რომელიც მთელი დღე-ღამის განმავლობაში გასწევს პატრულირებას ქალაქში.

შეხვედრაზე აღიძრა სხვა აქტუალური პრობლემებიც.

ა. ჩიკვაიძე პარიზს გაფრინდა

12 იანვარს პარიზს გაფრინდა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე. იგი მონაწილეობას მიიღებს ქიმიური იარაღის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის ცერემონიაში, რომელიც 13 იანვარს გაიმართება.

— ხელმოწერა, რომელსაც ჩვენ დავუსვამთ კონვენციას, ადასტურებს, რომ საქართველო ასრულებს ვალდებულებებს შეუერთდეს განიარაღების საერთაშორისო ხელშეკრულებებს, — განუცხადა მინისტრმა საქინფორმის კორესპონდენტს. — ჩვენი ქვეყანა მზად არის მისცეს შესაძლებლობა უცხოელ ექსპერტებს კონტროლი გაუწიონ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საჭიროებებისათვის ქიმიური ქარხნების მშენებლობას, დღენიადაგ ითანამშრომლოს მათთან.

უდიდესი მადლობა მინდა მოვახსენო მეცნიერთა და სპეციალისტთა თაობებს, რომლებიც მუშაობდნენ ქიმიური იარაღის აკრძალვის კონვენციაზე, თქვა ალექსანდრე ჩიკვაიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბაზრო ეკონომიკა თუ ეკონომიკა?

დომენტი მოურავიძე

საზრისი

მკითხველს შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს ამ ცნებათა ამგვარი ურთიერთდაპირისპირება, მაგრამ მთელი უცნაურობა ის არის, რომ რეალურად მართლაც აღმოვჩნდით ასეთი დაპირისპირების პირისპირ. და აქ მარტო ტერმინოლოგიურ დაბნეულობასთან კი არა, ჩემი აზრით, ამ ცნებათა არსებითი ხასიათის აღრევასთან გვაქვს საქმე.

ვფიქრობ, სახელმწიფო ხელისუფლების ეკონომიკურ იდეოლოგიაში და ეკონომიკურ პოლიტიკაში მოხდა, და კვლავაც ხდება ორი ძირითადი ეკონომიკური კატეგორიის — ეკონომიკისა და ეკონომიკური მექანიზმის გაუბრალოებული ურთიერთშენაცვლება და ამის გამო, აგრეთვე, ორი მთავარი ეკონომიკური პრობლემის — საკუთრივ ეკონომიკის განვითარებისა და მისი საბაზრო მექანიზმზე გადაყვანის გაიგივება. (ცხადია, ეკონომიკური მექანიზმი და ის ეკონომიკა, რომელსაც ეს მექანიზმი ემსახურება, როგორც წესი, ერთიანობაში არსებობენ (როცა ეს ერთიანობა ირღვევა, სწორედ მაშინ წარმოიშობა ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობა), მაგრამ მათი გაიგივება, ერთ სიბრტყეში განხილვა სწორი არ არის.

მარტივად თუ ვიტყვით ჩვენი ეკონომიკური პროგრესის პრობლემები თითქოსდა შებრუნებით განიხილება, ხდება ძირითადი პრობლემის უკანა პლანზე გადაწევა, ეკონომიკური განვითარების (რეფორმის) აქცენტების შენაცვლება. (ცხადზე უცხადესია, რომ ჩვენი მთავარი მიზანია ეკონომიკის განვითარება, წარმოების ზრდა; საბაზრო ურთიერთობანი კი მხოლოდ საშუალებაა ამისათვის, ეკონომიკური მექანიზმია და არა თვით ეკონომიკა. თუ ეკონომიკის განვითარება-აღორძინების საკითხი მარტო საბაზრო ურთიერთობებს მივანდეთ, მაშინ ასეთი მიდგომა შეიძლება საზოგადოების მცდარი ეკონომიკური ორიენტაციის და აქცენტების, ცრუ ეკონომიკური მოლოდინის არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველი გახდეს. პრაქტიკულად იგი შეიძლება ქვეყნის მოსახლეობის სამეურნეო-კომერციული ენერგიის, ეკონომიკური აქტიურობის არაეფექტიანი, არასწორი გზით წარმართვის მიზეზად გადაიქცეს.

კოლეგების წინაში ბოდიშს მოვიხდი და აღნიშნულ საკითხს ცოტა უფრო ვრცლად შევეხები.

გაზეთის მკითხველს მინდა შევახსენო ის დადგენილი ჭეშმარიტება, რომ ნებისმიერ ეკონომიკას გააჩნია როგორც საკუთარი ძირითადი ეკონომიკური მიზანი, კანონები, მექანიზმი, ისე საკუთარი ფიზიკური და ღირებულებრივი განზომილებანი, განვითარების დონე, პარამეტრები, საწარმოო და დარგობრივი სტრუქტურები, სივრცობრივ-ტერიტორიული განფენილობა და მრავალი სხვა რამ.

ევროპის ქვეყნებმა თავის დროზე ფეოდალური საწარმოო ძალები, ფეოდალური ეკონომიკები მიიღეს მემკვიდრეობით და შემდეგ მოხდა მისი გადასვლა საბაზრო ურთიერთობებზე, რამაც საწარმოო ძალების მძლავრი ზრდა და ეკონომიკის განვითარება უზრუნველყო; ბოლშევიკებმა რუსეთი არსებითად საბაზრო ურთიერთობებზე დამყარებული ეკონომიკით მიიღეს მემკვიდრეობით, მაგრამ იგი სხვა მექანიზმზე — არასაბაზრო ურთიერთობებზე და გეგმიანობაზე გადაიყვანეს; ჩვენ კი მემკვიდრეობით მივიღეთ არასაბაზრო, გეგმიან მექანიზმზე დამყარებული (და თანაც სტრუქტურულად დეფორმირებული) ეკონომიკა და მისი ნამდვილი განვითარების უზრუნველსაყოფად საბაზრო ურთიერთობებზე, საბაზრო მექანიზმზე უნდა გადავიყვანოთ იგი. ამიტომ არის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა ჩვენთვის გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთი ძირითადი ეკონომიკური ამოცანა.

ამრიგად, საბაზრო ურთიერთობებზე ანუ საბაზრო მექანიზმზე გადასვლა თვითმიზანი, თავისთავადი პრობლემა კი არ არის, არამედ მთავარი მიზნის — წარმოების ზრდის, ეკონომიკის აღორძინების საშუალება უნდა გახდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი მიზანია არა მარტო მემკვიდრეობით მიღებული ეკონომიკის უხეირო გეგმიური მექანიზმიდან საბაზრო მექანიზმზე გადაყვანა (განვითარებული ეკონომიკის არსებობის შემთხვევაში შეიძლებოდა მხოლოდ ამ ამოცანითაც შემოვფარგლულიყავით), არამედ პირველ რიგში ის, რომ უზრუნველვყოთ ეკონომიკის განვითარება, მისი კრიზისიდან გამოსვლა და, საბოლოოდ, დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის შექმნა.

აღნიშნული ამოცანა უნდა გადაიჭრას ეტაპობრივად — ჯერ შექმნილი საწარმოო ძალების სრულფასოვანი ამოქმედების, შემდგომ კი მათი გამრავლებისა და სრულყოფის საფუძველზე. საქართველოს ეკონომიკა თანდათანობით შინაგანი იმპულსების (რესურსები, ინტერესები, მექანიზმი) საფუძველზე მოქმედ დამოუკიდებელ (და არა იზოლირებულ) სისტემად უნდა გადავაქციოთ. ეკონომიკურმა სუბიექტებმა, მოსახლეობამ და ხელისუფლებამ თვითონ უნდა განაგონ საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების, გარესამყაროსთან ეკონომიკური თანამშრომლობის ბედი და ამავე დროს პასუხისმგებლობაც უნდა იკისრონ საკუთარი ხალხის ეკონომიკური კეთილდღეობისთვის.

მაშასადამე, ეკონომიკის განვითარება, სრულფასოვანი დამოუკიდებელი ეკონომიკის შექმნა, და ამ მიზნით ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანა, ეროვნული ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად — ეს გარდამავალი პერიოდის ორი ძირითადი ეკონომიკური ამოცანაა.

აღნიშნული ორი ძირითადი ეკონომიკური ამოცანის, ორი პრობლემის და შესაბამისად, ეკონომიკური რეფორმის ორი ასპექტის ერთმანეთით შენაცვლება, მათი პრინციპული გაუმიჯნაობა და ურთიერთკავშირის მექანიზმის გაურკვევლობა არის, ჩემი აზრით, იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის მიუხედავად, ჯერ კიდევ არა გვაქვს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანის საფუძვლიანად დასაბუთებული კონცეფცია და პროგრამა. (ცხადია, ასეთი პროგრამაც ორასპექტიანი უნდა იყოს: პირველი, საწარმოო ძალების, საკუთრივ ეკონომიკის განვითარებისა და მისი სტრუქტურის სრულყოფის, ეკონომიკური ზრდის კონცეფცია — პროგრამა, საორიენტაციო პარამეტრები; მეორე, ეს იქნება ეკონომიკური მექანიზმის რეფორმა, რეფორმა წარმოებრივ, ეკონომიკურ ურთიერთობებში ანუ საბაზრო ურთიერთობების, საბაზრო მექანიზმის დანერგვა. რეფორმის ამ მეორე საფეხურმა (ასპექტმა) უნდა უზრუნველყოს პირველის რეალიზაცია.

ვფიქრობ, იგივე მიზეზის ბრალია, რომ დღემდე ვერ გადაგვიწყვეტია, თუ ვის შეუძლია, ვინ არის უპირიანი შემუშაოს საქართველოში ეკონომიკური რეფორმის — ეკონომიკის განვითარებისა და მისი საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანის ასეთი კონცეფციური პროგრამა (პროექტი) — ქართველმა თუ უცხოელმა ეკონომისტებმა? აქ, ჩემი აზრით, რეალური მდგომარეობა ასეთია: ჩვენმა ეკონომისტებმა მართალია სუსტად იციან საბაზრო მექანიზმები და სტრუქტურები, მაგრამ უსათუოდ უცხოელებზე უკეთ უწყიან საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი, სტრუქტურები, შესაძლებლობანი და ა. შ. უცხოელმა სპეციალისტებმა კი საერთოდ არ იციან ჩვენი ეკონომიკა, მისი არსებული სტრუქტურები, განვითარების წყაროები, პრიორიტეტები და ა. შ. (ამის შესასწავლად მათ დიდი დრო და აქაურების დახმარება დასჭირდებათ). მაგრამ ასევე უეჭველია, რომ მათ საფუძვლიანად იციან საბაზრო მექანიზმი და სტრუქტურები. და იმის მაგიერ, რომ შევაერთოთ ეს ორი ეკონომიკური ინტელექტუალური პოტენციალი, ორი გამოცდილება, მოვახდინოთ საკუთარი და საზღვარგარეთელი სპეციალისტების შესაძლებლობათა შემოქმედებითი კოორდინაცია, დღემდე ერთ ადგილზე ვდგავართ და საქმე წინ ვერ წაგვიყვანია. უფრო საფუძვლიანად ამ თემაზე ცალკე გვექნება საუბარი.

მანამდე კი ვიტყვი, რომ საბაზრო ურთიერთობებზე ეკონომიკის გადაყვანა ჩვენი მთავარი ეკონომიკური მიზნების მიღწევის ძირითადი საშუალებაა. ეს ურთიერთობანი, ვიმეორებ, უნდა განვიხილოთ მხოლოდ როგორც ეკონომიკის განვითარებისა და აღორძინების, მისი ფუნქციონირების მექანიზმი. სპეციალისტებმა იციან, რომ თავისუფალი მეწარმეობა, კერძო საკუთრება, საბაზრო კონკურენცია და საბაზრო ურთიერთობათა სხვა ელემენტები — ეს მხოლოდ საწარმოო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ელემენტებია და, რა თქმა უნდა, არა თვით ეკონომიკა, მისი უპირველესი ნივთიერი სფერო — მატერიალური წარმოება. საკითხი არსებითად ეხება იმას, რომ საბაზრო მექანიზმით უნდა შეიცვალოს ძველი მექანიზმი — გეგმიანობა, სამეურნეო ანგარიში, საქონელთა ცენტრალიზებული წესით განაწილება-გადანაწილება და ა. შ. შექმნილი ძველი ეკონომიკური პოტენციალი კი არის სწორედ ის მატერიალური ბაზა, რაზედაც ახალი ეკონომიკა აშენდება. მაგრამ ამისთვის საჭიროა მოხდეს რადიკალური რევოლუცია ეკონომიკურ, საწარმოო ურთიერთობათა სისტემაში, მათ ხასიათში, ფორმებში, ფუნქციონირების წესში, ამ ურთიერთობათა სუბიექტის — ადამიანის სამეურნეო-კომერციულ ყოფაქცევაში, ქცევის მოდელში.

ცხადია, თავისთავად საწარმოო ძალების მიღწეული დონე, ბუნებრივი თუ შექმნილი საწარმოო ძალები, მათი სტრუქტურები, ეკონომიკის კომპლექსი ობიექტური განსაზღვრულობაა. ადამიანის საწარმოო გამოცდილება და შრომითი ჩვევები (პროფესიული ცოდნა, კვალიფიკაცია), ბუნებრივი პირობები და სანედლეულო-ენერგეტიკული რესურსები, ტექნოლოგიური და ტექნიკური აპარატი, რომლებიც წარმოებაშია ჩართული, სხვა თანაბარ პირობებში, თავისი დანიშნულების შესაბამისად ერთნაირად ფუნქციონირებს ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის დროს. ასევე ცნობილია, რომ წარმოების ფუნქციური, დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ სხეულს წარმოქმნიან, ობიექტურად არსებობენ. ანუ ვთქვათ, ეკონომიკის მატერიალური, ნივთობრივი საფუძველია. სხვანაირად: ყოველივე ეს კი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ეკონომიკის პოტენციური არსებობის ფორმა, მისი ფიზიკური სტრუქტურული სისტემა და როგორც ბერკეტს, როგორ მექანიზმსაც მივუერთებთ მას, ისე ამოქმედდება და შესატყვის შედეგებს მოგვცემს.

საბაზრო ურთიერთობებზე, როგორც ეკონომიკურ მექანიზმზე, სიტყვა შეგნებულად გავაგრძელე, რადგან ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკის ანუ ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის იდეა სასტიკ დევალვაციას განიცდის. მოხდა საბაზრო ურთიერთობათა განვითარების აღრევა თვით ეკონომიკის განვითარებასთან. ხალხი ეკონომიკურ აღმავლობას, კრიზისის დაძლევას ელოდება; სინამდვილეში კი იგი ხედავს მხოლოდ ეკონომიკური ნგრევისა და ქაოსის სავალალო შედეგებს, აფიორული და სპეკულანტური ბიზნესის აყვავებას, რაც ქუჩების სიმახინჯედ გადაქცეული ათასობით დუქნის სახით, სახელმწიფო საწყობებიდან მოპარული თუ ჰუმანიტარული დახმარებიდან წაგლეჯილი საქონლის სახით ყოველდღიურად თვალში, გულში და სულში ეჩხირება ხალხს, რომელიც სურსათისა და ტრანსპორტის საშინელი დეფიციტით, სიძვირით, სიცივით არის გაწამებული...

სწორედ მცდარი ეკონომიკური აქცენტების პრაქტიკული შედეგების ერთ-ერთი გამოვლინებაა ის, რომ საბაზრო ურთიერთობებზე და კომერციულ სტრუქტურებზე გადასვლა ჩვენში, ახალი ეკონომიკური და ზნეობრივი სიმახინჯეებით, დეფორმაციებით დაიწყო. ისე, ვისაც არ უნდა ჰკითხო, თითქმის ყველა ადვილად იტყვის, რომ ყველაფერი ეკონომისტების საქმეა და მათი ბრალია, თუ განვითარებული ეკონომიკა არა გვაქვს. სინამდვილეში კი ისე გამოდის, რომ ცივილიზებული ეკონომიკური აზრი და პროექტები არავის სჭირდება.

ჩემთვის, როგორც ეკონომისტისთვის, თავზარდამცემია ეკონომიკური რესურსების ის მასშტაბები, რომლებიც ამ ცრუ საბაზრო ორომტრიალში იხარჯება. აბა, უბრალოდ წარმოვიდგინოთ ფულის, მასალების კომერციული ენერგიის, შრომის, ზნეობის დანახარჯთა ის რაოდენობა, რაც ამ პროცესში დაიხარჯა და კვლავ იხარჯება. ეს მილიარდები, სხდომები ნებართვისთვის, ლითონი, დამწყები ბიზნესმენის მოუსვენარი აზრი, ასიათასობით მუშაკის შრომა და ბევრი სხვა რამ რომ წარმოებაში დაბანდებულიყო, წარმოების ზრდისთვის დახარჯულიყო, ღრმად ვარ დარწმუნებული, ეკონომიკური აღმავლობა უკვე ნამდვილად გვექნებოდა.

ჩვენ კი ინერციული თუ ახალი არასწორი ეკონომიკური იდეოლოგიის, თუ გნებავთ პოლიტიკის წყალობით ბუნებით ნიჭიერი მეურნე,* კომერსანტი, თაოსანი, „ფულიანი კაცი" ამ ფერად-ფერად ჯიხურებში და სარდაფებში შევტენეთ და „ბაზრის" სასწაულების მოლოდინში ვართ. ამბობენ: ასეთია კაპიტალის პირვანდელი დაგროვების პროცესიო; ამგვარი იყო 200-300 წლის წინათ, ახლა აღარ უნდა იყოს ასეთი! ის კი არა, ქალაქის სახელმწიფო მაღაზიების ოფიციალური პრივატიზაციაც კი ვერ მოვახერხეთ. სადუქნე ფულებით ხალხი, ბოლოსდაბოლოს, ამ მაღაზიებს შეიძენდა, რითაც მოიგებდა მათი ახალი პატრონიც, სახელმწიფო ბიუჯეტიც, მოსახლეობაც, ვაჭრობის კულტურაც, ქალაქის არქიტექტურაც, ზნეობაც...

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისათვის აუცილებელი და თანაც დაპირებული სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია ფაქტობრივად, უფრო სწორად კი ოფიციალურად, ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ვისაც კი ხელი მიუწვდება სახელმწიფო, საერთო ქონებაზე და რამდენსაც შესძლებს — ყველა დაუსჯელად იტაცებს მას. მიწის რეფორმის I ეტაპიც კი არ იქნა ბოლომდე მიყვანილი, მიწასაც იტაცებენ, აქაც უამრავი უსამართლობა და დანაშაული ხდება. ძველი გარე და შიგა ეკონომიკური კავშირები მთლიანად მოიშალა, ენერგეტიკული და სანედლეულო კრიზისი ახრჩობს ეკონომიკას, საწარმოო სიმძლავრეები უმოქმედოდ დგას, ადამიანებს მათხოვრული ხელფასებიც კი ვერ მიუღიათ, უმუშევრობა იზრდება, ირგვლივ კი მატია, დანაშაულობა და განუკითხაობა ბობოქრობს...

ღმერთმანი, ამგვარი არც საბაზრო ეკონომიკა სურდა ხალხს, არც კერძო საკუთრება და არც თავისუფალი მეწარმეობა და თუ გონივრული გამოსავალი დროულად არ მოინახა, მაშინ ყოველივე ამას თვითონ ხალხივე გამოუტანს განაჩენს. ახლადარჩეული კანონიერი დემოკრატიული ხელისუფლება, სახელმწიფო სტრუქტურები იქნებ შერისხულიც კი აღმოჩნდნენ და შეიძლება ერის ცხოვრებაში ყველაზე დრამატული ვითარება შეიქმნას...

ბუნებრივია, მთელი სიმწვავით ისმება კითხვა: სად არის გამოსავალი?

კრიზისი, ნგრევა, ზნეობრივი გადაგვარება იმდენად საყოველთაოა, რომ ამ კითხვაზე ერთნიშნა ყოვლისმომცველი პასუხის მოძებნას, ცხადია, ვერავინ შესძლებს. ერთი რამ კი ყველამ უნდა გავიცნობიეროთ, რომ მართლაც ტიტანური შრომა, გამძლეობა, დიდი მოთმინება გვჭირდება, რომ გადავრჩეთ. აუცილებელია შევიმუშაოთ დასაბუთებული ცივილიზებული ეკონომიკური პროგრამა-პროექტი, რომლის რეალიზაციისთვის უნდა ამოძრავდეს მთელი ხალხი, ყველა სოციალური ფენის ადამიანთა შემოქმედებითი ენერგია, ფული გაყინული წერტილიდან უნდა დავძრათ, ავამოქმედოთ მოსახლეობის შრომითი აქტივობა. შევუდგეთ ეკონომიკის აღდგენას. შევქმნათ თვისობრივად ახალი საკუთარი ეკონომიკა. სხვა გზა უბრალოდ არ არის და არც იქნება!

ახალი ამბები

შეთანხმების მოსამზადებლად

საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის თანამშრომლობის ორმხრივი შეთანხმების მოსამზადებლად მოსკოვში ჩავიდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი თეიმურაზ ხაჩიშვილი.

შეთანხმებას ხელს მოაწერენ მას შემდეგ, რაც ხელშეკრულების პროექტს საბოლოოდ ერთად განიხილავენ რუსი და ქართველი ექსპერტები..

საქართველოს მინისტრმა განაცხადა, რომ გულთბილად და მეგობრულად შეხვდა საქართველოს დელეგაციას რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა მინისტრი ვიქტორ ერინი, რომ რუსეთის მინისტრი დაინტერესებულია საქართველოსთან თანამშრომლობით და ორივე მხარეს სურს საქმიანი და ხელსაყრელი ურთიერთობა მოაგვარონ.

„რუსეთსა და საქართველოს ძალიან ბევრი რამ აკავშირებს ერთმანეთთან და ამგვარი პარტნიორული ურთიერთობის დამყარება ხელს შეგვიწყობს ბევრი პრობლემის გადაჭრაში", — თქვა თეიმურაზ ხაჩიშვილმა.

კირა ანდრონიკაშვილი,
საქართველოს საელჩოს პრესცენტრი.

●

დახმარება გრძელდება

კვლავ მოდის დახმარება რესპუბლიკის თავდაცვის ფონდსა და აფხაზეთში მყოფ ქართველი ჯარისკაცებისათვის. ამას წინათ, ქალთა დამოუკიდებელმა საქველმოქმედო ასოციაცია „მანდილმა" (თავმჯდომარე — ნათელა დუმბაძე) გამოაქვეყნა მიმართვა, რომელშიც კერძოდ, ნათქვამია:

პატივცემულო თანამემამულენო! ჩვენს საყვარელ მრავალტანჯულ საქართველოს მძიმე დღეები დაუდგა. და თითოეული ქართველის, საქართველოს მცხოვრების ვალია, ყველაფერი იღონოს სამშობლოს გადარჩენისათვის, მისი ეკონომიკური და სულიერი განვითარებისათვის.

ახლად შექმნილმა პარლამენტმა ხელი შეუწყო საქართველოს თავდაცვის ფონდის შექმნას. ვფიქრობ, გულგრილად არავინ მოეკიდება ამ მნიშვნელოვან საქმეს.

ჩვენი საქველმოქმედო ორგანიზაცია მცირერიცხოვანია. თავდაცვის ფონდში უკვე გადავრიცხეთ 10 ათასი მანეთი. ვითვალისწინებთ, რა ჩვენი რესპუბლიკის რთულ ეკონომიკურ მდგომარეობას. საქართველოს თითოეულ მშრომელს მოვუწოდებთ წლის მანძილზე თავდაცვის ფონდში გადარიცხოს ერთი თვის ხელფასი. იმედია, ჩვენს ინიციატივას მხარს დაუჭერენ.

მოვუწოდებთ ყველა ქალს, დედას, დას, შვილებს, საწარმოთა, დაწესებულებათა, კოოპერატივთა, საქველმოქმედო ორგანიზაციათა, სასწავლებელთა ხელმძღვანელებს — მხარი დაუჭირონ ჩვენს ინიციატივას და ჩადგნენ სამშობლოს დამცველთა რიგებში.

●

როგორი იქნება საქართველოს აგრომრეწვი?

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების მოდელი შეიმუშავეს რესპუბლიკის მეცნიერმა აგრარიკოსებმა. იგი გვთავაზობს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის პრიორიტეტული დარგების აღმავლობის მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამას, რათა საქართველომ შეძლოს მაქსიმალურად დაიკმაყოფილოს თავი საკუთარი წარმოების პროდუქტებით. კერძოდ, იგი იძულებულია, ყოველწლიურად გარეთ შეისყიდოს მილიონ ტონაზე მეტი მარცვლეული. ამავე დროს, სპეციალისტთა გამოანგარიშებით, არის შესაძლებლობა, უკვე უახლოეს სამ წელიწადში თითქმის ასი ათასი ჰექტარით გაიზარდოს მარცვლეულის ნათესები და ხორბლის წარმოება 1,26 მილიონ ტონამდე გადიდდეს, ანალოგიური რეზერვები პრაქტიკულად აქვს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ყველა დარგს.

„ნარიყალა" გაიყიდა

ოთარ ხუციშვილი

თავისუფალ საქართველოს თავისუფალი მეწარმე გადაარჩენს

ახლა კი არა, კაი ორი წელიც არის, რაც გაიყიდა. მას მერე საქართველოში არც ერთი საწარმო არ გაყიდულა, ასე ვთქვათ, არ გაპრივატიზებულა (ეს — ოფიციალურად, თორემ, ამბობენ, ბევრი რამ ჩუმად გაიყიდაო). ასეა თუ ისე, „ოფიციალურ სახნავში" ფაბრიკა „ნარიყალა" ჭერაც ცალუღელად გამოიყურება, ჭერაც ეულად მიუყვება საბაზრო ეკონომიკის ეკლიან ბილიკებს.

— ნათქვამია, მარტო კაცი ჭამაშიც ცუდიაო, — მიზიარებს გულისტკივილს გაერთიანების გენერალური დირექტორი, ბატონი **თამაზ ხიდუა**. — იცით, როცა გვერდზე ამქარი გიდგას, უფრო ნაყოფიერადაც შრომობ და უფრო გულიანადაც. დიდი სურვილი მაქვს, ჩვენმა საწარმომ სხვებსაც სტიმული მისცეს, ბევრი დაადგეს ჩვენს გზას, მაგრამ რატომღაც ამას ვერ ვხედავთ. ლაპარაკით ბევრს ვლაპარაკობთ, ოფიციალურ საპრივატიზებო სტრუქტურებსაც ვქმნით, პრივატიზებული საწარმოები კი არა და არ ჩანან.

ასე არ ვარგა, რაღაცის კეთებას რომ დავიწყებთ, ბოლომდე უნდა გავიდეთ. ასე მგონია, გორბაჩოვის პოლიტიკა გაუკეთებელმა საქმეებმა დაღუპა, ჩვენი წინა ხელისუფლებისაც. მაშინდელმა უზენაესმა საბჭომ კი მიიღო პრივატიზაციის კანონი, მაგრამ იგი ფაქტობრივად არ მოქმედებს. როგორც პრივატიზაციის, ისე საკუთრების შესახებ კანონები პრაქტიკულად უმოქმედო, გაყინულია. ისინი რომ არ მოქმედებენ, დაუცველები ვრჩებით. აკი ზოგჯერ გვემუქრებოდნენ კიდეც, გაგაუქმებთო.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, რა უშლის ხელს პრივატიზაციის დაწყებას?

— ძირითადად ორი რამ. პირველი ის გახლავთ, რომ ზემდგომებს არ სურთ საწარმოებზე ათეულ წლობით დამკვიდრებული ძალაუფლება დაკარგონ (კერძო საწარმო ხომ თავისუფალია და კანონის გარდა არავის ემორჩილებოდა). მეორეც, თვით საწარმოს ხელმძღვანელები ითრევენ ფეხს — დარწმუნებული არ არიან, რომ მათი ლეგალური შემოსავალი ფარულზე მეტი იქნება. ეს მომენტები თუ არ დავძლიეთ (იგი ძველი წყობილებიდან მოდის), საბაზრო ეკონომიკა მხოლოდ ოცნებად დაგვრჩება.

— ბატონო თამაზ, იქნებ ამ ზოგად მსჯელობას სულაც ის სჯობდეს, რომ თქვენი საწარმოს მაგალითი ვაჩვენოთ, თქვენ როგორ დაიწყეთ და რას მიაღწიეთ?

— ამაში მე ყველაფერს ტელევიზიას „ვაბრალებ". გახსოვთ, ალბათ, ერთ დროს მოდადქცეული სატელევიზიო „აუქციონი". მაშინ კვირა ისე არ გავიდოდა, ეკრანზე რომელიმე საწარმოს წუნდებული პროდუქცია არ გამოეჭენებინათ. რა თქმა უნდა, ვერც ჩვენ გადავურჩით კრიტიკას.

აი სწორედ მაშინ ვეღარ მოვითმინე და ვთქვი: მართალი ხართ, რომ გვაკრიტიკებთ, მაგრამ, მოდით, იმაშიც დაგვეხმარეთ, ფეხსაცმლის წუნი როგორ გამოვასწოროთ-თქო. უარი არ უთქვამთ. რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენთან მოვიდნენ თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი პავლე ჩაგელიშვილი და დოცენტი ვახტანგ თორაძე, რომელთაც პრაქტიკული დახმარება შემოგვთავაზეს.

დავსხედით და ვიანგარიშეთ, რა ავლადიდება გაგვაჩნდა, რის გაკეთება შეგვეძლო და რისი არა. იმხანად იჯარა იყო მოდაში. ავდექით და ჩვენც ამ მეთოდით დავიწყეთ მუშაობა. სულ მალე გამოჩნდა ახალი მოძრაობაც, რომელიც პრივატიზაციისკენ გვიხმობდა. მართალია, არ იყო კანონი, მაგრამ იყო რეკომენდაციები და კონკრეტული მაგალითები. ჩვენ, კერძოდ, ერთი ასეთი პრივატიზებული საწარმოს — სტავროპოლის მეფრინველეობის საბროილერო ქარხნის მაგალითით დავინტერესდით. მე და ბატონი პავლე ადგილზე გავეცანით საწარმოს საქმიანობას და ჩვენი სამინისტროს წინაშე კონკრეტული პროგრამით წარვსდექით.

ვერ ვიტყვით, რომ ყველაფერი ერთი ხელის დაკვრით გადაწყდა, მაგრამ ჩვენი მაინც გავიტანეთ — 1990 წლის 26 დეკემბერს რეგისტრაციაში გავატარდით. ამ დღეს რესპუბლიკაში შეიქმნა პირველი პრივატიზებული საწარმო — ფეხსაცმლის მოდელირებისა და წარმოების კოლექტიური ფაბრიკა „ნარიყალა".

მას შემდეგ ორი სრული წელიწადი ჩამოთავდა. ამ პერიოდის ყველაზე დიდ მონაპოვრად აქაურებს ის მიაჩნიათ, რომ თავისუფლებას მიაღწიეს. როგორც საწარმოს თავკაცი მოსწრებულად შენიშნავს ხოლმე, ადრე რაიკომის დაუკითხავად საამქროს ბოქლომსაც ვერ დაადებდნენ, ახლა კი მთელი ქონების ბატონ-პატრონი თვითონვე არიან. თავიანთ კუთვნილ მოგებას, უნდათ, მთლიანად წარმოების განვითარებას მოახმარენ და უნდათ, — კოლექტივის კეთილდღეობას.

ამან დიდად გაზარდა მომუშავეთა დაინტერესება, შეიცვალა დამოკიდებულება წარმოების იარაღებისა და შრომისადმი. ეს ბუნებრივიც არის, რადგან წარმოების მესაკუთრე გახდა არა სახელმწიფო ან ცალკეული პირი, არამედ მთელი კოლექტივი. რაც მთავარია, მისი მფლობელი არ გამხდარა ვინმე მილიონერი, რომელსაც შეეძლო წასულიყო კოლექტივის საწინააღმდეგო დინებით, არ გაეთვალისწინებინა მისი ინტერესები და თუ დაჭირდებოდა, ზოგი სამუშაოდანაც კი დაეთხოვა.

აქ კი აი როგორ მოიქცნენ: პრივატიზაცია მოახდინეს ისე, რომ მასში თითოეული მუშაკის ღვაწლი და წვლილი გაითვალისწინეს. კერძოდ, პირწმინდად აღინუსხა მათი თანრიგი, სტაჟი, კვალიფიკაცია და ამის მიხედვით გაიანგარიშეს მუშაკის წვლილი, ანუ დივიდენდი საერთო საკუთრებაში. მეთაურ საწარმოში, მაგალითად, 168 კაცი აღმოჩნდა ასეთი. ეს ის ხალხია, ვინც პრივატიზაციამდე „ნარიყალაში" რაღაც დოვლათის შექმნა მოასწრო. გაანგარიშდა ნაგებობები, ძირითადი ფონდები, რომელთა საბალანსო ღირებულებას გამოაკლდა იჯარის პერიოდში კოლექტივის საერთო სახსრებით შეძენილი დანადგარების ღირებულება, ამავე პერიოდში გასტუმრებული გადასახადები და დარჩენილი თანხა გადაირიცხა ადგილობრივი ბიუჯეტის სპეციალურ ანგარიშზე. რა დაუჯდათ მთლიანად ფაბრიკის შესყიდვა, ეს საწარმოს კომერციული საიდუმლოებაა.

კი მაგრამ, დივიდენდი როგორ გაიანგარიშება? — იკითხავს ზოგი. იგი გაიცემა იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობის მოგებას დააგროვებს საწარმო წლიურად. თუ მოგება დიდი იქნება, მეწარმემ შეიძლება თავისი წილი თანხის ათი და მეტი პროცენტი მიიღოს. წლევანდელი შედეგების მიხედვით, მაგალითად, თითოეულ მეპაიეზე საშუალოდ 8-10 ათასი მანეთი დივიდენდი გაიცემა. ახლა ხელფასი? მან საშუალოდ ფაბრიკაში 6-7 ათას მანეთს მიაღწია.

ეს ციფრები გაცილებით მეტი იქნებოდა, რემონტს რომ არ შესჭიდებოდნენ. შენობა, რომელშიც ფაბრიკაა მოთავსებული, ძველისძველია და შეკეთებას დიდძალი თანხები მიაქვს. მარტო ფასადის რემონტი 6 მილიონი მანეთი დაჯდა. ეს თანხა რომ განაწილებულიყო, თითოეულ მუშაკს 30 ათასი მანეთი დივიდენდი შეხვდებოდა. ახლა საამქროების რემონტი? ეს მხოლოდ დასახული პროგრამის პირველი ეტაპია. ამას რომ მორჩებიან, მეორე ეტაპს შეუდგებიან, შეიძენენ ახალ დაზგა-დანადგარებს, დანერგავენ მოწინავე ტექნიკასა და ტექნოლოგიას.

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, საწარმოდან წასვლაზე აღარავინ ფიქრობს, ადრე კი კადრების დენადობა 30-35 პროცენტს აღწევდა. და თუ მაინც ვინმეს გულმა სხვა საწარმოსკენ გაუწია, ის თავის წილ თანხას მიიღებს. იმ შემთხვევაში თუ მუშაკი პენსიაში გავიდა, სამი თვის მანძილზე იღებს პაის, ხოლო თუ პენსიონერია და მაინც მუშაობს, პენსიაზე დანამატს ღებულობს. აქ სხვა სიკეთითაც სარგებლობენ — კოლექტივის გადაწყვეტილებით ფაბრიკაში შვებულება 35 კალენდარულ დღემდე გახანგრძლივდა.

ეს — რაც შეეხება კოლექტივს, მაგრამ არც სახელმწიფო დარჩენილა წაგებაში. ამ ერთი ბეწო საწარმომ, რომელიც ერთთავად ვალებში იხრჩობოდა, შარშან მილიონობით მანეთი შემატა ადგილობრივ ბიუჯეტს.

— ეს ასეა, შედეგები, რა თქმა უნდა, თვალწინაა, მაგრამ, ალბათ, პრობლემებიც უთვალავი გაქვთ, — ვეუბნები საწარმოს თავკაცს.

— პრობლემები და თავსატეხი საკითხები იმდენია, ბევრიც რომ ეცადო, ვერსად გაექცევი. ეს უმთავრესად ცენტრალიზებული მომარაგების უცაბედმა დემონტაჟმა და სახალხო მეურნეობაში გამეფებულმა ანარქიამ მოგვიტანა. ახლა ამას დაუმატეთ ეკონომიკური ბლოკადა, ენერგოკრიზისი, ათასი სხვა უბედურება და ყველაფერი ნათელი გახდება. ყოველივე ამან იქამდე მიგვიყვანა, რომ საწარმოო სიმძლავრეებს მხოლოდ 25-30 პროცენტით ვიყენებთ. ეს რომ არა, ჩვენ და ჩვენი კოლეგები მონათესავე წარმოებიდან სრულიად თავისუფლად შევძლებდით რესპუბლიკის მოსახლეობის ფეხსაცმლით არა მარტო დაკმაყოფილებას, მის საზღვარგარეთ გატანასაც. აქ მხედველობაში მაქვს წარმოებაში ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, რაც მკვეთრად ასწევდა ჩვენი პროდუქციის კონკურენტუნარიანობას.

დღეს კი რა ხდება? იმისთვისაც ვერ მიგვიღწევია, რომ ნედლეულით უზრუნველყოფილი ვიყოთ. ჩვენ მას დიდი ტანჯვა-წამების ფასად, ეგრეთწოდებული პარტიზანული წესით თუ ვშოულობთ სადმე, თორემ ორგანიზებულად შემოტანილზე ლაპარაკიც ზედმეტია. გვქონდა შემთხვევა, როცა მოსკოვში ნაყიდი ნედლეული ადლერში ჩამოვიტანეთ, იქიდან გაგრაში და მხოლოდ შემდეგ შევძელით მისი თბილისში შემოტანა. წარმოიდგინეთ, ასეთი ნედლეულისგან დამზადებული ფეხსაცმელი რა დაგვიჯდება ჩვენ და რა დაუჯდება შემდეგ მომხმარებელს.

აქვე არ შემიძლია არ მოვიხსენიო ჩვენში დამკვიდრებული საგადასახადო სისტემა, რომელიც მეწარმეს სტიმულს კი არ აძლევს, პირდაპირ წელში წყვეტს. ამან ის გააკეთა, რომ ბევრი ჩვენი ბიზნესმენი საკუთარ ქვეყანას განერიდა და საზღვარგარეთ საქმიანობა ამჯობინა. ასე არ შეიძლება, უნდა გამოიძებნოს ისეთი საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც მეწარმეებსაც დააინტერესებს და სახელმწიფოსაც ასარგებლებს. მე, მაგალითად, დღევანდელ ეტაპზე ასეთად მიმაჩნია ფიქსირებული გადასახადი. ეს იქნება ერთჯერადი არანორმატიული აქტი (ვთქვათ, 3-5 წლის განმავლობაში), რომელიც გამოცარიელებულ ხაზინას შევსების საშუალებას მისცემს და მეწარმეებსაც ერთგვარად ამოასუნთქებს. აკი ვთქვი, ეს არ იქნება მუდმივი, მოვა დრო და სახელმწიფო მას შეცვლის ეკონომიკის შესაბამისი საგადასახადო პოლიტიკით.

შესაცვლელია საბანკო სისტემის მექანიზმიც, რომელიც საწარმოთა საქმიანობის მუხრუჭად იქცა. გაუგონარი ამბავი ხდება: რუსეთში ფულს ვერ გადარიცხავ, ვერც იქიდან გადმოგირიცხავენ, გაიყინა მთელი ფულადი მიმოქცევა და მასთან ერთად გაიყინა წარმოებაც. თვით რესპუბლიკის შიგნითაც გაგვიჭირდა ანგარიშსწორება. რვა თვეა, მაგალითად, აჭარის კოოპერაციის ბაზებში ჩვენი პროდუქცია გადაიტვირთა და თანხა დღემდე არ მიგვიღია. და ეს ხდება მაშინ, როცა ფულის ინფლაცია ყოველდღიურად მატულობს. ასეთ პირობებში ადვილი წარმოსადგენია შეჩერებული საბანკო ოპერაციების წყალობით რამდენს ვზარალობთ.

აი, რამდენი რამ გვამუხრუჭებს, თორემ ჩვენ, როგორც თავისუფალი, კერძო საწარმო, დღემდე სხვა უამრავ წარმატებასაც მივაღწევდით. წინ კი რამდენი რამ გვაქვს გასაკეთებელი. მართალია გვაქვს საფირმო მაღაზია, რომელშიც მთელი თბილისის ფეხსაცმელი იყრის თავს, მაგრამ ვაპირებთ მეორის გახსნასაც. აი, ფილიალებიც (ასეთი სამი გვაქვს) მომავალში ცალკე საწარმოებად უნდა იქცნენ, მათგან და მათ ბაზაზე უნდა შეიქმნას ასოციაცია, რომელშიც ისინი ვერტიკალური კი არა, პარალელური, თანაბარი უფლება-მოვალეობით ისარგებლებენ. მაშინ ჩვენი სააქციო საზოგადოებაც დახურულიდან ღიად გადაიქცევა და ჩვენს აქციებსაც, რომელსაც გარეშე პირნიც შეიძენენ, მეტი ფასი დაედება. აქ წერტილს დავსვამ, თორემ ყველაფრის ჩამოთვლამ ვინ იცის, სად წაგვიყვანოს.

●

მართლაც, ყველაფრის აღნუსხვა ერთ საგაზეთო წერილში ყოვლად შეუძლებელია, მაგრამ ჩემი სათქმელიც რომ არ დავამატო, არ შემიძლია. მით უფრო, რომ გულზე მომხვდა საწარმოს თავკაცის ნათქვამი: ეულად ვართ დარჩენილი, აი გვერდზე პრივატიზებულ საწარმოთა მთელი ამქარი რომ ამოგვიდგება, მაშინ ვეღარავინ დაგვამარცხებსო. არ შეიძლება არ უთანაგრძნო ამ სიტყვებს. მართლაც, დღეს ჩვენთან ვაჭარი, გადამყიდველი რამდენიც გინდა, იმდენია, კერძო მეწარმე კი არა და არ გამოჩნდა. დახმარება და მხარში ამოდგომა კი სწორედ ამ უკანასკნელს სჭირდება და არა ჩარჩ-ვაჭრებს. ქართველი კაცი არასოდეს ყოფილა მოწოდებით ვაჭარი, იგი თავისი ბუნებით ყოველთვის მწარმოებელი იყო. ცდება, ვინც ფიქრობს, რომ ფასების აშვებით საბაზრო ეკონომიკას დაამკვიდრებს. ასეთი ეკონომიკა კერძო მეწარმის ზურგსა და თავისუფალ კონკურენციას უნდა დაეფუძნოს.

თავისუფალ საქართველოს მხოლოდ თავისუფალი მეწარმე, ქვეყნის სასიკეთო საქმეების კეთების სიყვარულით მორჭმული ბიზნესმენი თუ გადაარჩენს. აქეთკენ მოგვიწოდებს „ნარიყალაც".

P. S. ამ დღეებში „ნარიყალამ" საქართველოს თავდაცვის ფონდში 100 ათასი მანეთი ჩარიცხა, ხოლო აფხაზეთიდან ლტოლვილებს საჩუქრად გადასცა 862 წყვილი ფეხსაცმელი.

როცა დუმილი არ ეგების

სკლეროზი მძიმე დაავადებაა

პეტმარ აბაიშვილი
პარლამენტის პრესცენტრის მთავარი სპეციალისტი.

საგაზეთო საქმის კიდევ ერთი ახალი სახელი შეემატა — „მიმომხილველი". პირველი პური კუტი არ გამოდგა — ნომერი ფრიად სერიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა რამდენიმე ლაფსუსი მაინც გაიპარა მასში. მე მხოლოდ ერთზე შევჩერდები, კერძოდ, იმ ინტერვიუზე, რომელშიც ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის" პრეზიდენტი ზაურ ალადაშვილი ამბობს: „...**რაც შეეხება დღევანდელ ხელისუფლებას, მისგან დაპირებების მეტი არაფერი მიგვიღია.. არის გარკვეული პრეტენზიები სახელმწიფო მეთაურის მიმართ. მე არ მახსოვს შევარდნაძეს მოსახლეობის უღატაკეს ფენასთან შეხვედრად მოეცალოს**".

ასოციაცია „კათარზისი" დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელსაც აქვს საკუთარი ანგარიში ბანკში, ხელისუფლებას თუ სურვილი გაუჩნდა, შესაძლოა, საქველმოქმედო მიზნით დაეხმაროს კიდეც ამ საქველმოქმედო ორგანიზაციას, მაგრამ მისი დავალდებულება, უბრალოდ, უკადრისი ქცევაა.

ბატონ ალადაშვილს, როგორც ირკვევა, გარკვეული პრეტენზიები ჰქონია სახელმწიფოს მეთაურის მიმართაც. მას, თურმე, არ ახსოვს, რომ **შევარდნაძეს მოსახლეობის უღატაკეს ფენასთან შეხვედრად მოეცალოს.**

რას გულისხმობს ბატონი ალადაშვილი უღატაკეს ფენაში — კონკრეტულ თუ აბსტრაქტულ ცნებას?

საქართველოს მოსახლეობის ოთხმოცდაათი პროცენტი დღეს სიღატაკეში ან სიღატაკის ზღვარზე ცხოვრობს (საბედნიეროდ; და, რაღა თქმა უნდა, ამ ოთხმოცდაათ პროცენტში არ შედიან თვით ბატონი ალადაშვილი და მისი შტატიანი თანამონაწილენი!). ყველა სერიოზულმა კაცმა იცის, რა სერიოზულმა მიზეზებმა განაპირობა დღევანდელი ჩვენი ყოფა, ამიტომ მასზე არ გავაგრძელებ სიტყვას, ამ წერილს სხვა თემა აქვს.

სკლეროზისაგან არავინაა დაზღვეული და თუ ვინმეს მეხსიერება მართლა დაგვიქვეითდა, ერთად გავიხსენოთ:

შევარდნაძე სამაჩაბლოშია — ჭურვები სკდებიან მის მახლობლად, ტყვიები ზუზუნებენ მის თავზე;

შევარდნაძე აბობოქრებულ, გამწარებულ, გამძვინვარებულ სამეგრელოშია და იქაც ბეწვზე ჰკიდია მისი სიცოცხლე;

შევარდნაძე სოხუმშია, ოჩამჩირეშია, განთიადშია, ლესელიძეშია — მის ვერტმფრენს თავს ესხმიან და არავინ იცის, ეს მისი ბოლო წამია, ბოლო წუთია, თუ ბოლო საათია;

რამდენი ჯარისკაცი გაამხნევა და გაამამაცა ცეცხლის ხაზზე მისმა ყოფნამ;

რამდენი დაჭრილი მოინახულა საავადმყოფოებში და ნუგეშიანი სიტყვა უთხრა;

სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან ლტოლვილ რამდენ ადამიანს — მშიერს, მწყურვალს, უსახლკაროს, მაშვრალსა და უბედურს შეხვდა და ტკივილი გაუნელა, იმედი აღუნთო. მხოლოდ თქვენ ბრწყინავდით თქვენი არყოფნით ამ შეხვედრებზე.

ბატონო ზაურ, რატომღაც მეჩვენება, რომ უხეში დაუდევრობა ხშირად ავი განზრახვის ტოლფასია, თორემ რას უნდა ნიშნავდეს საზოგადოებისათვის ასეთი უკუღმართი აზრის მიწოდება? შევარდნაძე მრავალჯერ შეხვდა მოსახლეობის უღატაკეს ფენას, მაგრამ მან, ალბათ, თქვენ ბოდიში უნდა მოგიხადოთ, რომ არ მიგიწვევიათ ამ შეხვედრებზე ან თვითონ არ გეახლათ თქვენს ოფისში. თქვენ ხომ ისე წარმოადგენთ საქმეს, თითქოს უღატაკესი ფენის ბედი თქვენ უფრო მეტად გაწუხებთ, ვიდრე სახელმწიფოს მეთაურს.

აქვე განვმარტავთ, რომ სახელმწიფოს მეთაური სათნოების სახლის დირექტორი როდია, ფეხი ფეხზე გადაიდოს და „მარლბოროს" ბოლის რგოლები ერთმანეთში გააძვრინოს. მას ცოტა მეტი მისია აქვს დაკისრებული და, საბედნიეროდ, ღმერთმა მუშაობის ჯოჯოხეთური რიტმი დააკვება.

დღეს საკმაოდ გავრცელებული ხუმრობაა — გაეროში შევარდნაძე მიიღეს და არა საქართველოო. სერიოზული კაცისთვის ეს მთლად უკბილო ხუმრობა როდია.

სამწუხაროდ, შევარდნაძემ თქვენ ვერ მოგიპატიჟათ (ესეც ახალი პრეტენზიის საბაბი!), როცა მას ეწვია ამერიკელი ელჩი რიჩარდ არმიტიჯი, რომელმაც პრეზიდენტ ბუშის ადამიანური მოკითხვის („ძვირფასო ედუარდ, მერწმუნეთ ნიადაგ ვფიქრობ თქვენზე და ქართველ ხალხზე")— გარდა სხვა ამბებიც ჩამოიტანა. კერძოდ: ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სთხოვა დიდი შვიდეულის ოფიციალურ პირებს და ევროგაერთიანებას საწვავი გამოეყო საქართველოსთვის, ხოლო ტრანსპორტირების საფასურის, 5 მილიონი დოლარის გადახდა თვითონვე იკისრა, ამასთანავე, სასწრაფო ჰუმანიტარული და სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით 10 მილიონი დოლარის საბავშვო საზრდოს და სხვა საქონელს ამერიკელები უსასყიდლოდ შემოგვიზიდავენ. ამასთანავე, გამოგვიგზავნიან მილიონი მანეთის საგანგებო სამედიცინო დახმარებას ჩვენი ჯანდაცვის სამინისტროსაგან გადაცემული ნუსხის მიხედვით, სულ მალე კი ასევე საჩუქრად გადმოგვეცემენ 100 ათას ტონა მაღალხარისხოვან საფურაჟე ხორბალს...

ვისთვის კეთდება ყოველივე ეს, ბატონო ზაურ? — ისევ და ისევ ჩვენი ნაომარი, ნახანძრალი, სიღატაკეში ჩავარდნილი საქართველოსათვის.

და ბოლოს, არ ივარგებს, რომ პაწია სხივმა, რომელიც თვალებში გვეჭყიტინება, დაფაროს უზარმაზარი კოცონი. „კათარზისი"— განწმენდა — ულამაზესი ცნებაა, ოღონდ იგი ჩვენს გრძნობა-გონებასაც უნდა მისწვდეს.

დაზუსტება

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის რადიოინტერვიუში, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკის" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა, ბოლო აბზაცი უნდა იკითხებოდეს:

ახლა ძალიან აქტიურ ფაზაშია რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებანი. ვიცი, რომ ბევრი კითხვა იბადება სამანეთო ზონასთან დაკავშირებით, ალბათ, ბატონი რომან გოცირიძე მიაწვდის ხალხს გარკვეულ ინფორმაციას ამის გამო, მაგრამ მე მაინც მინდა ვთხოვო ჩვენს საზოგადოებრიობას, რომ ეჭვის თვალით ნუ შეხედავენ ყველაფერს, რაც კი რუსეთთან მიმართებით კეთდება. გაიხსენონ, რომ კეთილმეზობლობის პირველი ხელშეკრულება თურქეთთან დავდეთ, ახლა ირანთან ხელშეკრულების დადებაზე ვლაპარაკობთ და ასეთი მოლაპარაკებები გრძელდება და გაგრძელდება რუსეთთან, მერე იქნება ვიზიტები უკრაინაში, ყაზახეთში, სხვა ქვეყნებში, და ეს იქნება პროცესი, რომელმაც ყველასთან უნდა მოგვიწესრიგოს ურთიერთობა. რაც შეეხება საკრედიტო პოლიტიკას, სამანეთო ზონაში დარჩენას თუ არდარჩენას, ეს ისეთი პრობლემებია, რომლებზეც ყველამ უნდა იფიქროს, ისინი ყველა მოქალაქემ კარგად უნდა გააზროს, თუ რა მოხდება, თუკი არ დავრჩებით ამ ზონაში. მე კი მაინც უნდა გითხრათ, რომ შედეგი იქნება ძალიან მძიმე, რადგან საკუთარი ვალუტისათვის ჩვენ ჯერჯერობით მზად არა ვართ, — განაცხადა ინტერვიუს დასასრულს ედუარდ შევარდნაძემ.

საქინფორმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, „ომი მშვიდობამ უნდა შეცვალოს!"

თემის გაგრძელება

მარიამ ლორთქიფანიძე

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 1992 წლის 30 დეკემბრის ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნებულმა ბ-ნ აპოლონ სილაგაძის წერილმა, როგორც ყოველთვის, არაერთი საკითხი დააყენა.

ომი რომ მშვიდობამ უნდა შეცვალოს — ეს უდავოა, მაგრამ ყველა ომის დროს, და ახლაც ჩვენთვის განსაკუთრებით მწვავედ დგას კითხვა: როდის შეცვლის ჩვენს გატანჯულ ქვეყანაში მშვიდობა ომს.

ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის შესახებ, რომ ასეთ ომში გამარჯვებული არ არსებობს. მაგრამ, სამწუხაროდ, ომი მიმდინარეობს, იხოცებიან ადამიანები, ინგრევა ქვეყანა... ბუნებრივია, რომ ჩვენი უპირველესი მიზანია ამ უმძიმესი მდგომარეობიდან პოლიტიკური საშუალებებით გამოსვლა. ამის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა საერთაშორისო მასშტაბით სწორი, პირუთვნელი ინფორმაციის მიწოდებაა მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის.

რასაკვირველია, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ იარაღით ომის დროს მიმდინარეობს ინფორმაციული ომიც. ორივე მხარე ცდილობს თავისი პოზიციის გამართლებას და დასაბუთებას. ჩვენ წინაშე მწვავედ დგას საკითხი, როგორ მოვაწოდოთ მსოფლიოს ობიექტური ინფორმაცია, რომელიც, როგორც ბ-ნი აპოლონი ბრძანებს, „იმ ნაწილში მაინც იყოს საყოველთაოდ ნათელი, რომელშიც სიმართლე ჩვენს მხარეზეა".

დღეს თითქმის ყველგან, ყოველ შემთხვევაში იქ, სადაც მე მქონია შეხვედრები, საკითხს ასე გვიყენებენ: ქართველები მცირერიცხოვანი ერი ბრძანდებით და მსოფლიოს დემოკრატიულად, პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება მხარს გიჭერთ თქვენს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რაც სრულიად კანონზომიერია, მაგრამ თქვენ რატომ უწევთ წინააღმდეგობას თქვენზე მცირერიცხოვან აფხაზებსა და ოსებს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში? თვალსაზრისი, რომ საქართველო „მცირე იმპერიაა" და ქართველები ამ „იმპერიის" შენარჩუნებისათვის ვიბრძვით და სისხლში ვახშობთ ოსთა და აფხაზთა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული და მყარად ფეხმოკიდებული. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ჩვენ ვერ ვუწევთ კონკურენციას იმ ინფორმაციას, რომელიც ჩვენს საწინააღმდეგოდ იქმნება და აქტიურად ვრცელდება.

ასეთი არამართებული თვალსაზრისის ერთ-ერთი საფუძველია რუსეთში არსებული ავტონომიებისა და საქართველოში არსებული წარმონაქმნების ისტორიულ-იურიდიული უფლებების ერთნაირი შეფასება.

ჩვენ უნდა გავაგებინოთ ყველას, მტერსაც და მოყვარესაც, რომ რუსეთში არსებულ ავტონომიებსა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში შექმნილ ავტონომიურ წარმონაქმნებს შორის პრინციპული განსხვავებაა და არ შეიძლება მათი საერთო, საბჭოთა სახელმწიფოს თვალთახედვით განხილვა. გარკვევით უნდა ითქვას, რომ რუსეთში არსებული თითქმის ყველა (თუ აბსოლუტურად ყველა არა) ავტონომიური წარმონაქმნი არის რუსეთის მიერ სხვადასხვა დროს დაპყრობილი თუ „ნებით შეერთებული" (რატომ, გასაგებია), მანამდე დამოუკიდებლად არსებული ქვეყნები. მაგალითად, ჩრდილო კავკასიის ტერიტორია, სადაც შემდეგ რუსეთის ფედერაციაში შემავალი ავტონომიური ერთეულები შეიქმნა, (ჩრდილო ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩაჩან-ინგუშეთის, დაღესტნის...) სხვადასხვა დროს რუსეთის მიერ დაპყრობილი, თუ სხვადასხვა პირობით შეერთებული მიწა-წყალია.

სულ სხვა ვითარებაა საქართველოში. არ მიმაჩნია საჭიროდ სიტყვის გაგრძელება აჭარაზე, ყველამ კარგად ვიცით, რომ აჭარა საქართველოა და აჭარლები ქართველები არიან, ყველაზე კარგად ეს თვით აჭარლებმა იციან და აჭარის პრობლემა არ დგას და, ალბათ, არც დადგება.

ის ტერიტორია კი, სადაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეულები, უძველესი დროიდან ქართული მიწა-წყალია, ქართულ სახელმწიფოთა ფარგლებში მყოფი რეგიონებია.

ოსთა ჩამოსახლება საქართველოში მათი სახელმწიფოდან, ჩვენთან მოსაზღვრე ოსეთიდან, XVII საუკუნიდან იწყება და მათი შედარებით კომპაქტური მოსახლეობა აქ XIX საუკუნიდან ჩნდება. ოსი გლეხები მოდიოდნენ და სახლდებოდნენ საუკუნოვანი ომებით მოსახლეობაშემცირებულ ქართველ თავადთა მიწებზე ხიზნების უფლებით.

აფხაზები დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან ჩანან, მაგრამ არიან თუ არა ის აფხაზები იმ აფსუების წინაპრები, რომელთაც ქართველები აფხაზებს ვუწოდებთ? ეს არავინ იცის. საყოველთაოდ ცნობილია, რომ შუასაუკუნოვანი აფხაზები თავისი ეროვნული თვითშეგნებით ქართველები იყვნენ. ისინი ისევე მონაწილეობდნენ ქართული სახელმწიფოს, ქართული კულტურის შენება-შექმნაში, როგორც მათ გვერდით და ირგვლივ მცხოვრები ეგრები, სვანები, ქართები... „აფხაზი" შუა საუკუნეებში „ქართველს" (ვიწრო გაგებით დასავლელ ქართველს, უფრო ვიწრო გაგებით — საკუთრივ აფხაზს) ნიშნავდა როგორც ქართველის, ისე ჩვენი მეზობლების (ბერძნების, რუსების, არაბების, სპარსელების) გაგებითაც. XVII საუკუნიდან აქაც იწყება ჩრდილო კავკასიიდან ადიღეური მოდგმის აფსუათა ჩამოსახლება (ჩრდილო კავკასიიდან საქართველოს მიწა-წყალზე ოსთა, ლეკთა, აფსუათა ჩამოსახლებას თავისი მიზეზები აქვს, რაზეც ამჯერად აქ ვერ ვიმსჯელებთ) და ისტორიული აფხაზეთის მიწაზე დასახლება, რის გამოც ჩვენ მათ აფხაზები ვუწოდეთ და ასე გავრცელდა მათი ეს სახელწოდება ქართულიდან სხვა ენებში. თვითონ ისინი თავიანთ თავს აფსუებს უწოდებენ. აფხაზი — ქართული ტრადიციული გაგებით — ქართველია, აფსუა — არაქართველი. მათ თანდათან ჩამოუყალიბდათ თავიანთი მყარი ეროვნული თვითშეგნება, აქვთ თავიანთი კულტურა, ენა, დამწერლობა... საქართველოს გარდა სხვა სამშობლო არა აქვთ.

რომ აფხაზებს საქართველოს შემადგენლობაში ავტონომია უნდა ჰქონდეთ, ეს უდავოა, მაგრამ რა ფარგლებში და რა სახით. ეს საკითხის სხვა მხარეა.

საქართველოს ხელისუფლებამ, პარლამენტმა, სათანადო ორგანოებმა, როდესაც დადგება საქართველოს კონსტიტუციის შემუშავების საკითხი (და, ალბათ, ეს მალე უნდა დადგეს), უნდა გაარკვიოს საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციული დაყოფის სტრუქტურა. თუ საბჭოური მოდელი კარგია, ალბათ იმას დატოვებენ, თუ არა, რაღაც სხვას შეიმუშავებენ, თუ როგორს, ეს დიდ დაფიქრებასა და მუშაობას მოითხოვს. მაგრამ აქვე დგება საკითხი, რა ტერიტორიულ ფარგლებში უნდა ჰქონდეთ აფხაზებს ავტონომია. როდესაც 1921 წელს აფხაზეთის საკითხი წყდებოდა, მაშინ იმისთვის, რომ ავტონომია რუკაზე გამოჩენილიყო, მას ისეთი მიწებიც მიაწერეს, სადაც ცხოვრობდა არა მხოლოდ ნარევი, ქართულ-აფხაზური და სხვა, არამედ მხოლოდ საკუთრივ ქართული მოსახლეობაც. მიუხედავად ქართველთა პროტესტებისა (და ასეთი პროტესტები ბევრი დაიწერა მაშინ: თუ რატომ უნდა შევიდნენ საკუთარ სამშობლოში მცხოვრები ქართველები სხვა — აფხაზურ სახელმწიფოში), ამას ყურადღება არავინ მიაქცია. ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა 1922 წელს, ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნისას. ოსური მოსახლეობა მაშინ ფაქტობრივად ხომ ცხინვალშიც არ იყო (სულ რამდენიმე ოსური ოჯახი ცხოვრობდა ცხინვალში), [illegible] ამ ოლქისათვის რომ საზ[illegible]თ, მას მთლიანად ქართველ[illegible]თ დასახლებული ახალგორის ([illegible] ლენინგორი რომ უწოდეს) რეგიონიც მიაწერეს. იქაური ქართული მოსახლეობაც აცხადებდა პროტესტს. არც მათ აქცევდნენ ყურადღებას. ამ პროტესტების ამსახველი დოკუმენტები კი საგანგებო საცავებში იყო ჩაკეტილი. აფხაზი და ოსი ბოლშევიკები აფხაზებისა და ოსების სახელით აყენებდნენ მოთხოვნებს, მაგრამ იქ რომ ქართველები ცხოვრობდნენ და მოსახლეობის უმრავლესობასაც შეადგენდნენ, ეს არავის აინტერესებდა. ალბათ ნიშანდობლივია, რომ აფხაზ სეპარატისტთა დღევანდელი ლიდერებიც ისე ლაპარაკობენ, თითქოს აფხაზეთი მხოლოდ მათი, აფსუების, ქვეყანაა.

ქართველები და აფსუები, ქართველები და ოსები (ისევე როგორც საქართველოში მოსახლე სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები) საუკუნეთა მანძილზე ცხოვრობდნენ ერთად, მათ შორის ეროვნულ ნიადაგზე კონფლიქტები არ მომხდარა. ყველა დამპყრობი, და მათ შორის ყველაზე აქტიურად რუსები, მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის შემადგენლობაში იქნა შეყვანილი, ცდილობდნენ საქართველოში მოსახლე სხვადასხვა ერთა წარმომადგენლებს შორის შუღლის დათესვას, მათი ერთმანეთისადმი დაპირისპირებას და ამ მხრივ ზოგ რამეს მიაღწიეს კიდეც, მაგრამ განსაკუთრებით მწვავედ დადგა ეს პრობლემა 1918 წლიდან, როდესაც შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა. რუს ბოლშევიკებს არ სურდათ ახალი, კომუნისტური რუსეთისათვის საქართველოს დაკარგვა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ რუსეთში მოკალათებული ქართველი ბოლშევიკები, რომელთა წაქეზებითა და მხარდაჭერით დაიწყო აქ აფხაზების და ოსების ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ებრძოდა მათ, იცავდა თავის სახელმწიფოს, თავის საზღვრებს, ქვეყნის ერთიანობას, ბოლშევიკები აქაურ სეპარატისტებს, რომელნიც მაშინაც ისევე, როგორც ახლა, საქართველოსგან გამოყოფისაკენ და სოციალისტურ რუსეთთან ერთიანობისაკენ მოუწოდებდნენ, დიდ დაპირებებს აძლევდნენ, რაც განახორციელეს კიდეც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მათთვის ავტონომიური უფლებების და ამ ავტონომიებში უმაღლესი თანამდებობების მინიჭებით. ეს ავტონომიები საგანგებოდ შეიქმნა. ეს ის ყუმბარები იყო, საჭიროების შემთხვევაში რომ უნდა ამოქმედებულიყო და ამოქმედდა კიდეც. ისტორია მეორდება...

ქართველები, მიუხედავად იმ მძიმე პირობებისა, რომელშიც მათ საბჭოთა სისტემაში არსებობისას უხდებოდათ ცხოვრება, არ ავიწროვებდნენ საქართველოში მცხოვრებ სხვა ერთა წარმომადგენლებს. რა უფლებები და მდგომარეობა ჰქონდათ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრებ 17 პროცენტ აფსუებს დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით, ან რა მდგომარეობა ჰქონდათ საქართველოში მოსახლე ოსებს, საკუთრივ ოსეთში — ჩრდილო ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოსახლე ოსებთან შედარებით, ეს ჩვენ ყველამ კარგად ვიცით. მაგრამ ჩვენ რომ ვიცით, არ კმარა, ეს ყველაფერი სათანადო დოკუმენტაციით, სტატისტიკური, ყოველგვარი ციფრობრივი და ფაქტობრივი მონაცემებით უნდა დაიწეროს, ითარგმნოს რამდენიმე ენაზე და დაიგზავნოს ყველგან, სადაც საჭიროა. მართალია, ბევრი რამ დაწერილია, მაგრამ ჩანს, არ კმარა. ეტყობა, რაღაც საერთო, ერთი დოკუმენტის შექმნაა საჭირო.

ჩვენ ყველამ ისიც კარგად ვიცით, რომ რუსეთის მხარდაჭერის გარეშე ვერც ერთი ეს სეპარატისტი ვერაფერს გახდებოდა. დღეს ჩვენ რუსეთს ვერ მოვთხოვთ მათი ჯარების აქედან დაუყოვნებლივ გაყვანას. ამას რომ დრო და სათანადო შეთანხმება სჭირდება, ეს ვიცით, მაგრამ აფხაზეთში განლაგებული რუსეთის სამხედრო ნაწილების დაუყოვნებლივ გასვლა რომ უნდა მოვითხოვოთ, ეს ცხადზე უცხადესია, შეიძლება (და ალბათ უფრო მოსალოდნელია!) რომ რუსეთის ხელისუფლება ამაზე არ წავა, მაგრამ ჩვენ ჩვენი უნდა მოვითხოვოთ. ვფიქრობ, მათი აფხაზეთში ყოფნის დაკანონება ჩვენგან არ უნდა მოხდეს, ხოლო თუ არ გავლენ, იყვნენ უკანონოდ, როგორც კანონდამრღვევნი. ასეთი უნდა იყოს ჩვენი პოზიცია ამ საკითხში.

ჩვენ, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, გაეროს წევრს, ვფიქრობ, გვაქვს უფლება გვქონდეს ამ საკითხში ჩვენი აშკარად გამოხატული პრინციპული პოზიცია. ამით იმის თქმა არ მსურს, რომ ჩვენ უნდა გავწყვიტოთ კავშირი რუსეთთან, ეს ჩვენ მძიმე შედეგებს მოგვიტანს. ის შეცდომები, რაც რუსეთთან ურთიერთობის სფეროში დავუშვით, თანდათან საგრძნობი ხდება. ყველაფერი ეს სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს. მთავარი, რისი დათმობაც შეუძლებელია, ეს დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს სტატუსია, — ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. მაგრამ რიგ საკითხებში შეთანხმების გარეშე, ალბათ, გაგვიჭირდება.

სამწუხაროდ, ისტორიული გამოცდილების გათვალისწინება და წარსულის შეცდომებისა თუ დანაშაულთაგან გაკვეთილების მიღება არ გვიყვარს. მაგრამ დღეს, რიგ შემთხვევებში, იგივე პრობლემები გვიჩნდება, რაც უახლოეს წარსულში იყო. საქმე ეხება ლტოლვილთა პრობლემას. როგორც უკვე ითქვა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას 1918-1921 წლებში, საკუთარი ხელისუფლების, სახელმწიფოს მთლიანობისა და საზღვრების დასაცავად რიგი სამხედრო ოპერაციების ჩატარება მოუხდა ოსებით დასახლებულ იმ ტერიტორიაზე, სადაც შემდეგ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

ნაწილი იმ ოსებისა, რომელნიც აქტიურად იბრძოდნენ საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ, ჩრდილოეთში, ოსეთში გაიხიზნენ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო მათი დაბრუნება. მაგრამ, სამწუხაროდ, დაბრუნდნენ არა მხოლოდ გახიზნულნი, — შემოვიდა ოსთა ახალი ტალღა. ეს, რასაკვირველია, შემთხვევით არ მომხდარა. ეს იმ ფართომასშტაბის გეგმაზომიერი პოლიტიკის ერთი პუნქტი იყო, რომელიც საერთოდ საქართველოში, და, კერძოდ, ამ რეგიონში, დემოგრაფიული ვითარების ქართველთა საწინააღმდეგოდ შეცვლას ისახავდა მიზნად.

დღეს შიდა ქართლში თითქმის მშვიდობაა. ყოველ შემთხვევაში, დიდი სიკეთეა ის, რომ ახლა იქ სისხლი არ იღვრება. მაგრამ უნდა ვიფიქროთ ხვალინდელ დღეზე. ბრუნდებიან ოსი ლტოლვილები. მაგრამ მხოლოდ ლტოლვილები? ამას უმკაცრესი კონტროლი ესაჭიროება. საქართველოს ხელისუფლება, ქართველი ხალხი ვერ და არც ეტყვის უარს არც ერთ აქედან წასულს, მაგრამ არც ერთი ზედმეტი ოჯახის, პიროვნების მიღება ახლა არ შეიძლება. და, რაც მთავარია, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ქართველებს შეექმნათ ყოველგვარი პირობები საკუთარ სახლკარში დასაბრუნებლად. რომ ეს რთული და მტკივნეული პროცესია, ყველას კარგად გვესმის და ამიტომ დიდი სიფრთხილე და ღრმად გააზრებული მოქმედებაა საჭირო. გვეყოფა, ის კი არა, ალბათ, თაობებს ეყოფათ საბედისწერო შეცდომები, ამ რეგიონში რომ ჩავიდინეთ.

გარკვეულ იმედებს სახავს სახელმწიფოს პრემიერის და მინისტრთა კაბინეტის წევრების ამასწინანდელი ვიზიტი ცხინვალის რეგიონში და მიღებული გადაწყვეტილებები. მაგრამ სასურველი გადაწყვეტილებები ადრეც მივიღეთ. შედეგი? იქვე არაა, რომ ბ-ნ პრემიერს კარგი სურვილები აქვს, მაგრამ ისე ხომ არ შეიძლება მოხდეს, რომ სასურველი შესაძლებლად მივიჩნიოთ? შიდა ქართლში არსებული პრობლემები ადვილად მოსაგვარებელი რომ არ არის, ეს მინისტრთა კაბინეტს ყველაზე კარგად მოეხსენება და იქნებ ჯობია საკუთარ სამშობლოში ლტოლვილებად მყოფთ ნაკლებს დავპირდეთ და მეტი გავაკეთოთ? ისიც სათქმელია, იქნებ თვით ეს ლტოლვილებიც უფრო აქტიურად და ეფექტიანად იქნენ ჩაბმულნი ცხინვალის რეგიონის პრობლემების მოსაგვარებელ საქმიანობაში.

რომ საქართველოსთვის ერთ-ერთი ურთულესი ეროვნულ უმცირესობათა პრობლემაა, ეს დავას არ იწვევს. დღეს პროგნოზების დრო, ალბათ, არ არის, მაგრამ მსურს ვირწმუნო: არც ისე შორსაა ის დრო, როდესაც ქვეყანა დამშვიდდება და ჩვენ პოზიცია ამ საკითხში ძირითადად ჩამოყალიბებული უნდა გვქონდეს. მიუხედავად იმისა, თუ როგორი ადმინისტრაციული სტრუქტურა შეიქმნება საქართველოში, ერთი რამ უდავოა: ეროვნულ უმცირესობათა ყველა წარმომადგენელს საკუთარი კულტურული განვითარების ყველა შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, მაგრამ როგორ, რა გზით? ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როდესაც საერთო საბჭოთა ბიუჯეტიდან გამოიყოფოდა თანხები, მაგალითად, თბილისში რუსული, სომხური, აზერბაიჯანული თუ სხვა სკოლების, თეატრების, გაზეთების, ჟურნალების თუ სხვათა დასაფინანსებლად. იქნებ შევისწავლოთ, როგორ ხდება, რომ ისეთ დემოკრატიულ ქვეყანაში, როგორიცაა აშშ, სადაც მრავალი ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ, ყველას, ვისაც ამის სურვილი აქვს, აქვთ თავიანთი სკოლები, გაზეთები, ჟურნალები, საეთერო დრო და არხები რადიოსა და ტელევიზიაში. ეს ხომ არც უმაღლესი და არც შტატის ბიუჯეტიდან არ ფინანსდება! ყოველივე ამას თვით ამ ეროვნულ უმცირესობათა სათვისტომოები აფინანსებენ. ყოველივე ამას სათანადოდ დაფიქრება სჭირდება და ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ მოთხოვნილებათა ისე მოგვარება, რომ არც ერთი მხარე არ დაზარალდეს, და, რაც მთავარია, არც ერთი მხარე არ იყოს უკმაყოფილო.

ბევრი ასეთი და უფრო მნიშვნელოვანი საკითხი დგას და მომავალშიც დადგება, რადგან ჩვენ ხომ ჩვენი სახელმწიფო უნდა ავაშენოთ! ყველა ასეთი საკითხი დიდ განსჯას და დაფიქრებას მოითხოვს, რომ ზოგიერთის გადასაწყვეტად მაინც ვიყოთ მზად და რაც შეიძლება ნაკლები შეცდომები დავუშვათ.

კარიკატურისტის კომენტარი



მხატვარი მურთაზ აბაშიძე.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ემზადებიან სამხედრო ჩარევისათვის

გაეროს უშიშროების საბჭომ მკაცრად მოსთხოვა ერაყს დააბრუნოს მის მიერ ქუვეითის ტერიტორიაზე ხელში ჩაგდებული სამხედრო აღჭურვილობა და კვლავ გააფრთხილა ბაღდადი, თუ რა სერიოზული შედეგები შეიძლება მოჰყვეს ცეცხლის შეწყვეტის პირობის შეუსრულებლობას.

ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი მთელი სერიოზულობით განიხილავენ წინასწარი გაფრთხილების გარეშე სამხედრო აქციის შესაძლებლობას.

თავდაცვის მინისტრის განცხადება

„ფრანს-2" ტელეპროგრამით გამოსვლისას საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა პიერ ჟოქსმა განაცხადა, რომ საფრანგეთი მზად არის სხვა სახელმწიფოებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ყოფილ იუგოსლავიაში გაეროს შესაძლო ახალ აქციებში. მინისტრმა თქვა, რომ საჭიროა ყველა ამგვარ ოპერაციას საერთაშორისო ხასიათი ჰქონდეს.

ჯერ ფინეთში, შემდეგ პარიზში

12 იანვარს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი ნორვეგიის ქალაქ კირკენესიდან, სადაც მონაწილეობდა ბარენცის ზღვის რეგიონში თანამშრომლობისადმი მიძღვნილი კონფერენციის მუშაობაში, ოფიციალურ ვიზიტად ფინეთში ჩავიდა.

რუსეთის მინისტრი იმავე დღეს შეხვდა ფინეთის პრეზიდენტ მაუნო კოივისტოს და მოლაპარაკება დაიწყო თავის ფინელ კოლეგა პაავო ვაიურინენთან ორმხრივ და რეგიონულ პრობლემებზე. საღამოს იგი პარიზს გაფრინდა, სადაც რუსეთის დელეგაცია მისი მეთაურობით მონაწილეობას მიიღებს ქიმიური იარაღის აკრძალვის საერთაშორისო კონფერენციაში.

ვიზიტად ისრაელში

ისრაელში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკი ორშაბათს შეხვდა პრემიერ-მინისტრს იცხაკ რაბინს და საგარეო საქმეთა მინისტრს შიმონ პერესს. საუბრების დროს მხარეებმა დაადასტურეს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ექნება უკრაინა-ისრაელის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას. უკრაინის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორმხრივი ურთიერთობის ფართო მრავალმხრივი განვითარება ახლო აღმოსავლეთში უკრაინის პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იქნება.

უნიტას ლიდერი გაიქცა

ოპოზიციური დაჯგუფების უნიტას ლიდერი ჟონას სავიმბი ანგოლიდან კინშასაში გაიქცა. იქ იგი აპირებს შეხვდეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, ზაირისა და კოტ-დივუარის წარმომადგენლებს. ვარაუდობენ, რომ შეხვედრაზე ზაირის დედაქალაქში განიხილავენ ანგოლაში შეიარაღებული შეჭრის გეგმებს.

ლოლო შანხაური კატების მთავარია

ლოლო, სპარსული ჯიშის სამი წლის ულამაზესი კატა, გახდა „შანხაის კატების მთავარი", ამ მრავალმილიონიან ჩინურ ქალაქში გამართულ „კატების" პირველ გამოფენაზე. ლოლოს თავისი საპატიო წოდება სავსებით დემოკრატიულად — საერთო კენჭისყრის გზით მიენიჭა. იეროგლიფით „ვანი" („მთავარი") ჩინეთის მითოლოგიაში ჩვეულებრივ ვეფხვი აღინიშნება. 50-70-იან წლებში ჩინეთში შინაური პირუტყვის შენახვა, რაც „კლასობრივი თვალსაზრისით, ცხოვრების „ბურჟუაზიულ" წესს განასახიერებდა, ამასთან „საკვებსაც აკლებდა", აკრძალული იყო.

რუსული მანეთი დიდი მოთხოვნით სარგებლობს, რატომ?

რუსული მანეთი, რომელიც ნელ-ნელა ფასს კარგავს, მაინც რუსეთის მოსაზღვრე ჩინეთის რაიონების მცხოვრებთა მყარი მოთხოვნით სარგებლობს. საშობაო დღესასწაულების დროს ზღვისპირეთის გროდეკოვოს საბაჟოს მებაჟეებმა ორ ჩინელ გამცილებელს, რომლებიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მიემგზავრებოდნენ, ჩამოართვეს საერთო ანგარიშით რვა მილიონ ნახევარზე მეტი მანეთი. მეთვალყურეთა აზრით, ჩამორთმეული მილიონები ზღვაში წვეთია იმ უზარმაზარ თანხასთან შედარებით, რომელიც ზღვისპირეთიდან და ხაბაროვსკის მხარიდან ჩინეთში მიედინება. დღეს შორეული აღმოსავლეთის ბაზრებში, მათ შორის „ჩორნიხში", თავისი „ადიდასებით", ტყავის ნაწარმით, და სხვა დეფიციტით ვაჭრობს ათასობით ჩინელი მოვაჭრე, რომლებიც სიამოვნებით ყიდიან თავიანთ საქონელს მანეთებზე.

ჩინელები ხომ მსოფლიოში უძველესი დროიდან გამოცდილი სოვდაგრები არიან.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

საპარლამენტო შთაბეჭდილებანი

(წერილი პირველი)

თენგიზ ბუაჩიძე

ამჯერად მხოლოდ ეთიკისა და მეტყველების საკითხებზე ვისაუბრებ.

კაცმა რომ იკითხოს, რა არის ეს ეთიკა, ეთიკური ყოფა და ცხოვრება. გამარტივებული პასუხი სულ იოლი იქნება — ქართულად მას ჰქვია მაღალზნეობრიობა, მაღალზნეობრივი ცხოვრება, ქცევა, მაღალზნეობრივი ყოფა, მოქმედება.

რაც კაცობრიობა არსებობს, ეთიკის საკითხები მუდამ იდგა ფილოსოფოსთა, მოაზროვნეთა, პრაქტიკოს მოღვაწეთა ყურადღების ცენტრში, ის დღესაც აქტუალურია მსოფლიოს ყველა პარლამენტის საქმიანობაშიც.

ამგვარადვე იყო საქართველოში, რადგან მაღალზნეობრიობა ეროვნული კულტურის განუყოფელი ელემენტია, მისი შემადგენელი ნაწილია, ერის სახე და მახასიათებელია. ამ მხრივ ჩვენს ახალ ისტორიას საკმაო მასალა შემოუნახავს (იხ. ქართული ბანკების სხდომათა ოქმები, ილიას გამოსვლები, დამფუძნებელი კრების მასალები, მაშინდელი პრესა და სხვა).

კონკრეტულად და პრაქტიკულად რომ დავსვათ საკითხი, ის განსაზღვრავს ჩვენი პარლამენტის სახეს (არა მხოლოდ გარეგნულს), მოქმედებასა და მეტყველების კულტურის დონეს.

პარლამენტის სხდომებს ტელევიზიით ასიათასობით ადამიანი უყურებს, ისმენს. ყოველი ჩვენი მოძრაობა, ჟესტი, სიტყვა და ტონი ხალხის თვალში არა მხოლოდ ჩვენი შეფასების განმსაზღვრელია, არამედ თვით ხალხზე, ახალგაზრდობაზე, ბავშვებზე, მთელ მოსახლეობაზე უშუალო ზემოქმედების, ზეგავლენისა და უნებლიე მიბაძვის მძლავრი ფაქტორია, ხატოვანი მაგალითი და ნიმუშია.

თუ ეს სათანადოდ არ გავითვალისწინეთ და შეგნებულად არ დავემორჩილეთ მაღალზნეობრიობის ზოგად წესებს, კაცობრიობას და მის განუყოფელ ნაწილს ქართველ ხალხს რომ საუკუნეების მანძილზე შეუმუშავებია, ამავე ხალხის თვალში ჩვენი სხდომები ზოგჯერ გასართობ, სამასხარაო და, შესაძლებელია, საცირკო სპექტაკლადაც კი გადაიქცევა...

ამგვარ ვითარებაში არავითარი მნიშვნელობა არ ექნება იმას, თუ რას ვიტყვით, რა აზრს გამოვთქვამთ — დიდს აუცილებელს საკანონმდებლო მიმართებისას თუ უბრალოდ საპოლემიკოს. მოგეხსენებათ, რომ გამოთქმის ფორმა, ტონი, მომენტი და სიტუაცია უშუალოდ ზემოქმედებს ნათქვამის შინაარსზე და მათი გაუთვალისწინებლობით ის ნათქვამი მრავალწილად კარგავს თავის მნიშვნელობას, ასე ვთქვათ, უფასურდება.

სიტყვის წარმოთქმის ხისტ შორისა და მანერას კიდევ ერთი მხარე აქვს, მას პირობითად სიტყვით კაკლუცობას უწოდებენ. ეს ის მომენტია, როცა სიტყვას ვამბობთ მხოლოდ იმიტომ, რომ სიტყვა ვთქვათ, გამოვჩნდეთ, — უსაქმოდ არ ვზივარ ამ დარბაზში, დამინახეთ, ამომრჩევლებს ვემსახურები, ხალხისთვის სასარგებლო ადამიანი ვარო. ეს სიყალბეც ადვილი შესამჩნევია და ბევრიც ამჩნევს. სამწუხაროდ, ამგვარი მაგალითებიც გვაქვს.

2.

მოსმენის კულტურა ერთ-ერთი იმ სფეროთაგანია, ჩვენს ზნეობრიობას რომ განსაზღვრავს. გულისტკივილით უნდა ვაღიარო, რომ ჩვენს პარლამენტს, და არა მხოლოდ პარლამენტს, არამედ ნებისმიერ კრებას თუ შეკრებას მოსმენის კულტურის დონე დაბალი აქვს.

მოსმენის კულტურის შეუფახებლობა ზოგჯერ გადადის გამომსვლელისადმი სრულ უპატივცემულობაში, იშვიათად — შეურაცხყოფაშიც კი. და ხშირად არ ვფიქრობთ იმაზე, რომ ეს უპატივცემულობა და ზოგჯერ შეურაცხმყოფელი უყურადღებობაც ჩვენვე გვიბრუნდება, დარბაზს უბრუნდება. მით უმეტეს, რომ ერთი წუთის შემდეგ შეიძლება ჩვენც გავხდეთ ამგვარი დამოკიდებულების ობიექტი, როცა მიკროფონთან მივალთ ან კათედრაზე დავდგებით.

თუ ხალხის მიერ ნდობით აღჭურვილ პარლამენტში, ხალხის მიერ არჩეულ ყველა პიროვნებას შორის ურთიერთპატივისცემისა და უბრალოდ კაცური, ვაჟკაცური ზრდილობის ატმოსფერო არ დამკვიდრდა, ჩვენ ზნეობას არაფერი ეშველება და [illegible] ვერ მოვიცილებთ. და, რაც მთავარია, ვერ დამკვიდრდება იმის სრული შეგნება, რომ აქ წყდება ქვეყნის ბედი, საქართველოს ბედ-იღბალი.

ერთი კერძო შენიშვნაც: შევნიშნავ, რომ ზოგიერთი ჩვენგანი, მართალია, ერთეული, გამონაკლისი, რატომღაც არ თვლის ამ დარბაზს, ამ პარლამენტს პატივისცემის ღირსად. მას ალბათ ჰგონია, რომ არსებობს სხვა ადგილი, სხვა საშუალება და სხვა გზები. სადაც და რითაც უფრო ადვილად, უფრო ეფექტიანად განხორციელდება მისი იდეები და მიზნები.

კეთილი. თუ ასეა, მათ არავინ უშლის ხელს, — მოიხსნან პარლამენტარის უფლებამოსილებანი და მიმართონ სხვა აუდიტორიას. ეს საკითხი სულ იოლად წყდება...

3.

ცნობილია, რომ სპიკერის ინსტიტუტს დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველად იგი ჩამოყალიბდა ინგლისის თემთა პალატაში 1377 წელს. სპიკერი იჯდა მატყლით გატენილ ტომარაზე და ისე წარმართავდა პალატის სხდომებს. რატომ მატყლზე? იმ დროს ეს იყო ინგლისის სიმდიდრის და, ამდენად, ძლიერების სიმბოლო, და ამ სიმბოლოზე მჯდარი სპიკერი განასახიერებდა ქვეყნის ძლიერებას... თვით სიტყვა „სპიკერი" განსაკუთრებულს არაფერს ნიშნავს, ზუსტი თარგმანით ის „მოლაპარაკეა", მოვალეობანი კი დიდი და ძნელი აქვს.

ბევრი სპიკერი არ მინახავს, მაგრამ ვინც მინახავს, მათში ერთი რამ დამამახსოვრდა (როგორც ალბათ ბევრს ახსოვს) — ყოფილი სსრკ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე (რომელიც ახლა სულ სხვაგან ზის). ის მკაცრად და მტკიცედ, ზედმეტი გულმოდგინებით თავს ახვევდა მაშინდელ დეპუტატებს იმ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც საჭიროდ თვლიდა. ვერ ვიტყვი, რომ მას ეს ყოველთვის გამოსდიოდა... მაგრამ მისი მკაცრი მომთხოვნელობა და ერთგვარი სწორხაზოვნება ყველასთვის ცნობილი იყო.

ჩვენი სპიკერი სხვანაირია. იგი, ასე ვთქვათ, ლიბერალ-დემოკრატიული ტიპისაა (ცხადია, პარტიას არ ვგულისხმობ). ეს სავსებით ნორმალურია, სათანადოდ უნდა დაფასდეს და ბოროტად არ უნდა გამოვიყენოთ (ამგვარი შემთხვევებიც ყოფილა). დიდი ხანია ვიცნობ მას, ვიცი მისი მეცნიერულიც და საზოგადოებრივი დამსახურებანიც. ზოგიერთს ეგონება, თითქოს იგი მუდამ ამგვარი შემწყნარებელი იყოს, მინახავს გაბრაზებულიც. მას ძლიერი ნებისყოფა აქვს, შეუძლია წარმართოს ნებისმიერი აუდიტორია. მაგრამ პარლამენტი, მოგეხსენებათ, სულ სხვა რამაა...

აუცილებელია ყველასადმი თანაბარი მიდგომა და რეგლამენტის მკაცრად დაცვა: თუ სხდომა იწყება ათ საათზე, დაიწყოს ათზე და არც ერთი წუთით გვიან; თუ სხდომა უნდა გაგრძელდეს საათნახევარს, გაგრძელდეს საათ-ნახევარს და არც ერთი წუთით მეტ ხანს; თუ შესვენება ოცწუთიანია, გაგრძელდეს ოც წუთს და არა მეტს; სხდომები უნდა დამთავრდეს ზუსტად დათქმულ დროს, თუ რაიმე განსაკუთრებული არ ხდება.

თუ ეს ყოველივე არ იქნა პუნქტუალურად დაცული, მერწმუნეთ, სათანადო წესრიგი არ დამყარდება, კვლავ იქნება აქეთ-იქით უთავბოლო სიარული, გასვლა-გამოსვლა, სხდომის მიტოვება, შეძახილები და გადაძახილები, უკვე მიღებული რეგლამენტისა და ჯერ დაუმტკიცებელი პარლამენტარის სტატუსის სისტემატური დარღვევა, რაც ყოვლად დაუშვებელია, მით უმეტეს, იმ უმძიმეს პირობებში, როგორშიც ჩვენი სახელმწიფოა დღეს, როცა ყოველი დაკარგული წუთი ძვირად ფასობს.

4.

მეტყველების კულტურა რომ ეროვნული კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, ამას, მგონი, მტკიცება არ სჭირდება.

ქვემოთ მხოლოდ ჩამოვთვლი, მცირე კომენტარითურთ, პარლამენტში ჩანიშნულ იმ მცდარ გამოთქმებს, რომლებიც, სამწუხაროდ, მსმენელთა მრავალათასიან აუდიტორიაზე უშუალოდ ზემოქმედებს, ამკვიდრებს და თითქმის ოფიციალურ ნებართვას აძლევს ქართული ენის დამახინჯების ფაქტებს.

მე ვთხოვ ამ წერილის წამკითხველთ: მომაწოდეთ ქართული ენის (ზეპირი მეტყველების) დამახინჯების თქვენ მიერ შემჩნეული მაგალითები, რათა თავი მოვუყაროთ რაც შეიძლება მეტს და სათანადო დამუშავების შემდეგ პრესის საშუალებით ვაცნოთ ფართო აუდიტორიას. ეს იქნება ყველა თქვენგანის წვლილი დიდ ეროვნულ ძალისხმევაში.

1. საქმე იმაშია. გამოდის, რომ საქმე რაღაცაში ძევს, უჯრაში ან სადმე სხვაგან — „იმაში"... ცხადია, რუსულის გავლენაა. რატომ გვინდა ეს — „იმაში", როცა გვაქვს [illegible] სავსებით ნორმალური თქმა — „საქმე ისაა..." და ა. შ.

2. რამეთუ. არ ვიცი, რატომ და საიდან გაჩნდა თანამედროვე მეტყველებაში უძველეს ქართულ ტექსტებში დაფიქსირებული ეს კავშირი, როგორ და რა გზით მიანიჭეს მას „რადგან" და „რადგანაც"-ის ფუნქცია საქმიან გამოსვლებში. ეს სიტყვა რომ პოეტურ ტექსტში შეგვხვდეს, მსგავსად „ოდეს", „ოდეს" და სხვა ამგვარისა, კიდევ ასატანი იქნებოდა. მაგრამ საქმიან გამოსვლაში, იურიდიული ხასიათის გამოსვლაში?! ეს ყოვლად წარმოუდგენელია და ერთგვარი სასაცილო კაკლუცობის შთაბეჭდილებას ტოვებს (ერთხელ აღნიშნული მაქვს, რომ „ნაკლები მნიშვნელობა" ვინმე რედაქტორმა „კნინი მნიშვნელობით" შეცვალა. კინაღამ გული გამისკდა...).

3. რაც არ უნდა მოხდეს; ვინც არ უნდა თქვას; სადაც არ უნდა წავიდე, რადაც არ უნდა დაჯდეს. ესეც რუსულის ცუდი კალკია, 20-30-იან წლებში დამკვიდრებული. სწორი და მართებულია: რაც უნდა მოხდეს; ვინც უნდა თქვას, სადაც უნდა წავიდე, რადაც უნდა დაჯდეს და ა. შ.

4. ყველა დეპუტატები ფიქრობენ; ბევრი კანონები უნდა მივიღოთ. სწორია: ყველა დეპუტატი ფიქრობს, ბევრი კანონი უნდა მივიღოთ და ა. შ.

5. „გააჩნიას" უსწორო ხმარება. ეს სიტყვა ითხოვს მხოლოდ უარყოფით აღმნიშვნელ კონტექსტს: „მას არ გააჩნია (რაღაც), მაგრამ „მას აქვს" (რაღაც) და არა „მას გააჩნია" (რაღაც).

6. დაყაჩაღება. ეს სიტყვა პირველად სწორედ პარლამენტში გავიგონე და, უნდა ვაღიარო, პირდაპირ თავზარი დამეცა. უნდა შევინარჩუნოთ ნორმალური „ყაჩაღური თავდასხმა", ეს სიბინძურე კი კატეგორიულად უკუვაგდოთ.

7. ბრძოლობს (?) — იბრძვის.

8. პრინციპიალური — პრინციპული; ცივილიზირებული — ცივილიზებული; ფუნდამენტალური — ფუნდამენტური; ექსპერიმენტალური — ექსპერიმენტული და ა. შ.

9. არამნიშვნელოვანი — უმნიშვნელო; არასწორი — უსწორო, მცდარი; არასამართლიანი — უსამართლო და ა. შ.

10. დავაყენოთ კენჭის ყრაზე. ეს რა უბედურებაა? პირდაპირი თარგმანია. უნდა ვთქვათ: „კენჭი ვუყაროთ".

11. სახლიდან მოვდივარ, სახლში მივდივარ — შინიდან მოვდივარ, შინ მივდივარ.

12. რიგი საკითხებისა — ზოგიერთი საკითხი, ბევრი საკითხი....

ვიმეორებ ერთხელ უკვე თქმულსა და ოცდაათასიანი ტირაჟით დაბეჭდილს:

„თუ ჩვენ ენას თვით არ მოვუარეთ და პატივი არ დავდეთ, რა ზნეობრივი უფლება გვაქვს, სხვებსაც მოვთხოვოთ მისი მოვლა და პატივისცემა?"

და ჯერ დაუბეჭდავიდან:

„ძირითადად ენაში აცნობიერებს ხალხი თავის თავს. ენას პატრონობს ხალხი და ენა პატრონობს ხალხს".

სხვა საკითხებზე შემდეგ წერილებში ვისაუბროთ...

მრუდე სარკეში

...თეთრი შავად

მკითხველი ედავება „ნეზავისიმაია გაზეტას"

სამსახურებრივი მივლინებით რამდენიმე თვე ვიმყოფებოდი ქალაქ მოსკოვში და თვალნათლივ ვხედავდი იმას, თუ როგორ ცდილობს რუსეთის პრესა და ტელევიზია ქვეყნის ძალების გულის მოსაგებად შავ ფერებში წარმოადგინოს ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამ მხრივ მეტნაკლებად ობიექტურ და მიუკერძოებელ ბეჭდვით ორგანოდ მიმაჩნდა „ნეზავისიმაია გაზეტა", შეიძლება იმიტომაც, რომ მისი მთავარი რედაქტორის მოადგილედ და წამყვანი განყოფილების რედაქტორად მოხსენიებულია ქართველი (ყოველ შემთხვევაში გვარით) ალექსანდრე გაგუა.

ალბათ ამან გამაბედინა დავთანხმებულიყავი „ნეზავისიმაია გაზეტას" თანამშრომლის წინადადებას შევხვედროდი მას და ერთად შეგვედგინა წერილი რესპუბლიკათაშორისო საბანკო ანგარიშსწორების დღევანდელი მოშლილობის მიზეზებზე. მე მას ავუხსენი, ფაქტების მოშველიებით, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ რუსეთის ცენტრალური ბანკი ყოველმხრივ ცდილობს ხელი შეუშალოს საქართველოს საბანკო ბიზნესს და ამით გააძლიეროს ჩვენი ქვეყნის და ზოგიერთი სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკური ბლოკადა.

მოსკოველმა ჟურნალისტმა არ შესრულა დაპირება, წერილის გამოქვეყნებამდე არ მომიტანა იგი წასაკითხად და ხელის მოსაწერად. დროის უქონლობის საბაბით ტელეფონით წამიკითხა სტატია, რომელშიც არაფერი იყო საჩოთირო.

რამდენიმე დღეში კი თბილისიდან დამირეკა მეგობარმა და მისაყვედურა მშობლიური ქვეყნისა და ერის აუგად ხსენება. მას წაეკითხა ქართულ გაზეთ „სარანგში" რუსული გაზეთიდან გადმობეჭდილი სტატია. მოვძებნე „ნეზავისიმაია გაზეტას" ნომერი და სახტად დავრჩი. ხელთ შემომრჩა მონაჩმახი ჩემი ხელმოწერით და პროვოკაციული სათაურით „აქ ვართ, რათა დავბრუნდეთ!".

იმავე დღეს, მივმართე „ნეზავისიმაია გაზეტას" მთავარ რედაქტორს ვ. ტრეტიაკოვს წერილით, რომელშიც აღშფოთება გამოვთქვი მისი თანამშრომლის უსინდისობის გამო, ვუწოდე მის ქმედებას სიცრუე და დეზინფორმაცია და მოვითხოვე ჩემი საპროტესტო წერილის გამოქვეყნება.

სხვა სიყალბესთან ერთად სტატიაში აღნიშნულია ისიც, თითქოს მეთქვას, რომ — „რუსეთს მეტს ვუკეთებთ, ვიდრე საქართველოს". ვერ ვიტყოდი ამას, რადგან კარგად ვიცი ჩვენი ბანკის დაახლოებით ერთი წლის არსებობის მანძილზე რა გავაკეთეთ საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტისათვის. — გადავრიცხეთ 4 მილიონი მანეთი. სამშობლოს თავდაცვის ფონდში შევიტანეთ მილიონ ასი ათასი მანეთი, ხულოს რაიონის წმინდა ნინოს და წმინდა სტეფანე ხირსელის სასულიერო სასწავლებლებს 100 ათასი მანეთი ჩავურიცხეთ. ხოლო თბილისში დამწვარი და დანგრეული სახლების ბინადართ — 170 ათასი მანეთი.

აქამდე ამის შესახებ ხმამაღლა არ გაგვიცხადებია, რადგან ვთვლიდით და ახლაც ვთვლით, რომ ჩვენი წმინდა მოვალეობაა ყველაფერი ვიღონოთ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გთხოვთ მომიტევოთ შეწუხებისათვის. ალბათ, გამიგებთ. პირადად მძულს სამშობლოს უმადური, მით უმეტეს უმსგავსო საქციელით სახელგატეხილი ადამიანი. ღმერთმა გვაშოროს ყოველ ჩვენგანს ამდაგვარი ხვედრი.

მამუკა მეტრეველი,
თბილისის ბანკის „ოქროს საწმისის" თავმჯდომარის მოადგილე.

მოგზაურის ფოტოობიექტივი





სამოგზაუროდ ფრანკფურტში...

დადიხარ ფრანკფურტის ქუჩებში და ვერ წარმოგიდგენია, რომ ეს ულამაზესი ქალაქი, ულტრათანამედროვე ნაგებობებით, ულამაზესი და უმდიდრესი სუპერმარკეტებით, მხიარული, მომღიმარი ხალხით, ამ 47 წლის წინათ მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, მიწასთან იყო გასწორებული ამერიკის ავიაციის მიერ.

ჩემი იქ ყოფნა წინა საშობაო დღეებს დაემთხვა. ისედაც გადაჭედილ მაღაზიებს დღითი დღე ემატებოდა საკვები პროდუქტი თუ სხვა საქონელი, ფასები კი დღითიდღე ეცემოდა. შობის დღეს ზოგან 70 % ფასდაკლებითაც კი ვაჭრობდნენ.

გერმანიაში უამრავი უცხოელი ცხოვრობს. როგორც მითხრეს, აქ ყოველი მეოთხე ჩამოსულია...

ქუჩაში უამრავი მუსიკოსია, ზოგი მათგანი თავის კომპაქტურ ფირფიტებს ყიდის.

— ყველაფერი საუკეთესო ბავშვებისათვის — ამ ლოზუნგის რეალობა სწორედ გერმანიაში ვიგრძენი...

ქუჩებში გერმანელებს არა მარტო ძაღლებით ნახავთ, არამედ სხვა უფრო ეგზოტიკური ცხოველებითაც.

გერმანიის ქუჩებში, როგორც დავაკვირდი, მანქანები მეტია, ვიდრე ხალხი. არა მგონია, ახსენო „მერსედეს ბენცი" და ჭეშმარიტ ავტომოყვარულს სულ ოდნავი აღელვება მაინც არ დაეტყოს. მითუმეტეს თუ კი ეს „მერსედეს ბენცის" ბოლო მოდელია (სუპერ, ელეგანტ, ლუქსი), რომელიც 12 ცილინდრიანი 396 ცხენის ძალის მქონე ძრავით, 250 კმ სიჩქარეს ავითარებს...

...დადიხარ ფრანკფურტის ქუჩებში და ფიქრობ, თუ რა შეუძლია დაუღალავ შრომას და სწორ ეკონომიკურ პოლიტიკას, შრომას, რომელსაც, ჩვენდა სამწუხაროდ, აგრერიგად ვართ გადაჩვეულები.

ბადრი ვადაჭკორია.
ავტორის ფოტო.

ფრანკფურტი — თბილისი.

სკოლა შველას ითხოვს...

5 იანვარს, ღამის 12 საათზე ვაჟა-ფშაველას პროსპექტის მე-2 კვარტალის მცხოვრებლებს ნგრევის ხმა მოესმათ... თოვლის საფარს ვერ გაუძლო 126-ე საშუალო სკოლის შენობამ, მთლიანად ჩამოინგრა სპორტული დარბაზის სახურავი.

— ამ დარბაზში ყოველდღიურად 200-300 ბავშვი მეცადინეობს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს სკოლის დირექტორმა ნაზი მეტრეველმა. — ნამდვილი ტრაგედია დატრიალდებოდა, ეს ამბავი ღამით, ან არდადეგების დროს რომ არ მომხდარიყო. ვითარება მეტად სერიოზულია.

სკოლის გასაჭირი გაითავისეს განათლების სამინისტრომ, რაიონის გამგეობამ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სეისმომედეგობის ინსტიტუტმა გააკეთა დასკვნა — საჭიროა შენობა-ნაგებობის გასამაგრებელი სამუშაოების შესრულება. სკოლა შველას ითხოვს.

გაიზარდა ტელეფონის ქირა

პირველი იანვრიდან სატელეფონო კავშირით სარგებლობისათვის კერძო აბონენტებისათვის თვიურმა ქირამ 150 მანეთს მიაღწია.

ეს გვაცნობა რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრმა ფრიდონ ინჯიამ.

ცხონება

ოთარ ჯიბლაძე

როდესაც ქვეყანას განსაკუთრებით დასჭირდა ღრმა თეორიული ცოდნით აღჭურვილი გამოცდილი პრაქტიკოსი იურისტები, სავალალოდ, ამ დროს გამოაკლდა არც თუ მრავალრიცხოვან მათ რიგებს რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი, უზენაესი სასამართლოს წევრი **ოთარ ალექსანდრეს ძე ჯიბლაძე.**

იგი დაიბადა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ამაღლებაში 1927 წელს, პედაგოგების ოჯახში.

ოთარ ჯიბლაძე ხანგრძლივად, ნაყოფიერად მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რესპუბლიკურ პრესაში, პროკურატურასა და უზენაეს სასამართლოში. მუშაობდა რესპუბლიკის პროკურორის მოადგილედ, ორჯერ სხვადასხვა დროს, არჩეული იყო უზენაესი სასამართლოს წევრად. ამ პოსტებზე უაღრესად დაძაბულ და პასუხსაგებ მუშაობასთან ერთად, ოთარ ჯიბლაძე ყოველთვის აქტიურად იყო ჩაბმული მრავალმხრივ საზოგადოებრივ და სამართალშემოქმედებით საქმიანობაში, გამოირჩეოდა დახვეწილი პროფესიონალიზმით და დაუღალავი პოლემისტის თვისებებით, საქმის ერთგულებითა და უანგარობით.

მოკრძალებული, დამაშვრალი და ვალმოხდილი განერიდა იგი წუთისოფელს, დაუვიწყარია ოთარ ჯიბლაძის ხსოვნა, მისაბაძია მის მიერ განვლილი გზა, უსაზღვროა მისი შესანიშნავი ოჯახისა და მრავალრიცხოვანი ნაცნობ-მეგობრის გულისტკივილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო; საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა; საქართველოს იურისტთა კავშირი.

ზურაბ მიშველიძე

გარდაიცვალა კონცერნ „საქნავთობპროდუქტის" კადრების და სპეცსამსახურის განყოფილების უფროსი, გადამდგარი პოლკოვნიკი, სამამულო ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი **ზურაბ ვარლამის ძე მიშველიძე.**

დაიბადა 1919 წელს სოფელ დილიკაურში (ზესტაფონის რაიონი).

1954 წელს ოქროს მედალზე ამთავრებს მოსკოვის ფრუნზეს სახელობის აკადემიას. იგი წლების მანძილზე მუშაობდა რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის სისტემაში. იყო თბილისის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი, შემდეგ კი რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსის პირველი მოადგილე. რესპუბლიკის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სისტემაში მუშაობა დაიწყო 1984 წელს.

სადაც კი მუშაობდა ზურაბ მიშველიძე, ყველგან სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მისი სახელი დიდხანს დარჩება თანამშრომლების, მეგობრებისა და ახლობლების მეხსიერებაში.

კონცერნ „საქნავთობპროდუქტის" კოლექტივი; საქართველოს ომის, ბრძოლისა და შეიარაღებული ძალების რესპუბლიკური საბჭო.

რომან ოდიკაძე

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი სამეურნეო მუშაკი **რომან ვასილის ძე ოდიკაძე.** იგი დაიბადა 1924 წელს, ზნაურის (ყორნისის) რაიონის სოფელ შინდარაში.

იგი წლების განმავლობაში მოღვაწეობდა პასუხსაგებ თანამდებობებზე. 18 წელი მუშაობდა სოფელ თილვის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, იყო აგრეთვე თავისი რაიონის კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგე, სატყეო მეურნეობის დირექტორი, რაიაღმასკომის გამგეობის თავმჯდომარე, მეცხოველეობის კომპლექსის დირექტორი, რომელსაც საფუძველი თვითონვე ჩაუყარა. პენსიაში გასვლის შემდეგ კი იგი ყორნისის მეურნეობის გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარედ მუშაობდა.

ქართველი კაცისთვის ალბათ თანდაყოლილი ხვედრია მუქამიწის წალება იძულებითი გადაადგილების დროს, მაგრამ ვაგლახ, რომ რ. ოდიკაძემ მისი წამოღებაც ვერ მოასწრო. და ვერც მამა-პაპათა სასაფლაოში ჩაასვენეს, რადგან სიჭარმაგის ჟამს თავისივე სამშობლოში ლტოლვილად იქცა.

რომან ოდიკაძის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ოჯახის წევრების, ნათესავებისა და მეგობრების გულში.

ლტოლვილთა საბჭო.

მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიის ინსტიტუტი, რესპუბლიკური ფსიქიატრიული კლინიკური საავადმყოფო, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფსიქიატრიის კათედრა და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ფსიქიატრიის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, მედიცინის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ბიძინა ნანეიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფსიქიატრთა და ნარკოლოგთა საზოგადოება, საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ბიძინა ნანეიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვლადიმერ საბას ძე ვაშაკიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველო-რუსეთის ფინანსური ასოციაცია ასრულებს გადარიცხვებს რუსეთიდან საქართველოში 5%-იანი დათმობით.

ვისაც გაქვთ გადმოსარიცხი თანხა რუსეთიდან საქართველოში მოგვმართეთ ტელეფონებით:

ქ. თბილისში - 36-09-29;
- 36-27-74;
- 95-45-94; ავტომოპასუხით
ქ. მოსკოვში - 350-81-00;

ილია ვეკუას სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ილია ვეკუას სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებას: რუსთაველის პროსპექტი, № 52, ოთახი 405, ტელ.: 99-61-25.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

წარმოდგენა გრძელდება

მონაწილეობენ: იგივიგენი, აგრეთვე სასამართლო, პროკურატურა, პოლიცია, პრესა, რადიო და ტელევიზია.

ფელეტონისტს სულაც არ ეხუმრება

შეგახსენებთ, რომ წარმოდგენა ეხება გაჭიანურებულ დავას საქართველოს ხელოვნების აკადემიასა და საქართველოს კულტურის მუშაკთა დამოუკიდებელ პროფკავშირს შორის ხელოვნების მუშაკთა სახლის კუთვნილების თაობაზე.

წარმოდგენის სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი პიანისტი მედეა ფანიაშვილი.

პროზაული ამბავი

მართალია, ეს მრავალმოქმედებიანი სპექტაკლი ჯერ არ დამთავრებულა, არც ის იცის ვინმემ, როდის და რით დამთავრდება, მაგრამ ერთი რამ ახლავე შეიძლება ითქვას: სცენარსაც და სპექტაკლსაც აშკარად ეტყობა ვირტუოზი რეჟისორის ხელი. მიუხედავად იმისა, თუ როგორ განვითარდება შემდგომი მოვლენები, დაღლილი, მაგრამ მადლიერი მაყურებელი დიდხანს ვერ დაივიწყებს ამ თვალწარმტაცი ბრძოლის პერიპეტიებს.

გაზეთ „დრონის" 14 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ ჩემს წერილში საკმაოდ დაწვრილებით იყო აღწერილი ამ „ბრძოლის" საგანი და მიმდინარეობა. 18 დეკემბერს „დრონი" ისევ დაუბრუნდა ამ საკითხს (ნინო გელაშვილი, „მართლაც სამარცხვინო პროცესი"). წერილები გამოქვეყნდა „ქართულ კულტურაში" (10-16 დეკემბერი), „საქართველოს რესპუბლიკაში" (29 დეკემბერი), „ლიტერატურულ საქართველოში" (27 ნოემბერი), გადაიცა სიუჟეტები რადიოთი და ტელევიზიით.

საქმის პროზაული მხარე ასეთია: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საარბიტრაჟო სასამართლომ კანონიერად ცნო კულტურის მუშაკთა პროფკავშირის პრეტენზიები ხელოვნების მუშაკთა სახლზე. ანუ იურიდიულად დაადგინა მისი კანონიერი მფლობელისთვის დაბრუნება. ბუნებრივია, დადგინდა ამ შენობიდან საქართველოს ხელოვნების აკადემიის გამოსახლებაც.

სხვათა შორის, ხელოვნების აკადემიის ხელმძღვანელობა თვით აპირებდა მიემართა არბიტრაჟისთვის, რადგან სწორად არ მიაჩნდა აღნიშნულ საკითხზე ბატონ თენგიზ სიგუას მიერ თავისივე (ბ-ნ თენგიზ სიგუას) განკარგულების ძალადაკარგულად მიჩნევა და ახალი განკარგულების გამოცემა, მოკლედ, ქალბატონმა მედეა ფანიაშვილმა ბატონ თენგიზ სიგუაზე უკეთ იცის, რას ფიქრობს და რას აკეთებს თენგიზ სიგუა!

ვეტოს უფლება

თუ არ აღსრულდა, კაპიკად ღირს ნებისმიერი სამართლიანი გადაწყვეტილების ფასი. საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება, თურმე, ჩვენი ხელოვნების წინსვლას კი ემსახურება, მაგრამ შეჩერების უფლება აქვთ მხოლოდ უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარეს, მის მოადგილეებს ან სასამართლოს იმ წევრს, რომელმაც გადაწყვეტილება გამოიტანა. უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა აღსასრულებლად ყველა ორგანიზაციისა და თანამდებობის პირისთვის. გარდა ამისა, გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოტანისთანავე.

ამ საქმესთან დაკავშირებით კი ფრიად ორიგინალური ამბავი მოხდა — უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება შეაჩერა თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლომ.

ქართულ ხელოვნებაზე სასამართლოს ზრუნვა, რა თქმა უნდა, დიდად მისასალმებელია, მაგრამ კანონიც ხომ პატივისცემას მოითხოვს. მით უფრო, კანონის სადარაჯოზე მდგომი ისეთი ავტორიტეტისგან, როგორიც მოსამართლეა.

მას შემდეგ, რაც უზენაესმა საარბიტრაჟო სასამართლომ არსებული სუბორდინაციული სისტემა შეახსენა, მოსამართლემ მოხსნა ვეტო, მაგრამ აღსრულება მაინც ვერ მოხერხდა, რადგან ამის წინააღმდეგი არიან ქალბატონი მედეა ფანიაშვილი და მისი მხარდამჭერი ფრიად პატივცემული საზოგადოება. როგორც სასამართლოს აღმასრულებლის აქტებიდან ჩანს, „ხელოვნების აკადემიის რექტორმა ქ-ნმა მედეა ფანიაშვილმა იქვე მყოფ პედაგოგებთან ერთად კატეგორიული უარი განაცხადა შენობის განთავისუფლება-გადაბარებაზე შემდეგი მოტივებით: მათ მიაჩნიათ, რომ გადაწყვეტილება უკანონოა, ხოლო ამჟამად აკადემიაში მიმდინარეობს ჩათვლები და გამოცდები და ათასამდე სტუდენტისა და მასწავლებლის გარეთ გაყრა არ შეიძლება. აგრეთვე, ამ შენობის შეკეთებაზე დაიხარჯა ორ მილიონ მანეთზე მეტი და მოითხოვენ მისი ანაზღაურება. ქ-ნმა მ. ფანიაშვილმა ისიც განაცხადა, რომ სანამ მათ ძალით არ გაიყვანენ, მანამ შენობას არ დაცლიან, ხოლო ძალადობის შემთხვევაში მოაწყობენ საპროტესტო აქციებს.

აღნიშნულის გამო აღსრულება შეუძლებელი გახდა და იგი გადაიდო".

ჯიუტი პროფკავშირი და გულდამჭვარი პოლიცია

ეს მოხდა შარშან, 22 დეკემბერს. ზუსტად იგივე განმეორდა და ზუსტად ასეთივე აქტი შედგა მეორე დღეს, 23 დეკემბერს. მერე მოვიდა შობა, ახალი წელი, მოვიდა თოვლი, კვლავ შობა (ძველი სტილით), მოდის ნათლისღება, ახალი წელი (ძველი სტილით), არც ამინდის პროგნოზია სანუგეშო და რა ქნან გულდათუთქულმა სამართალდამცველმა ორგანოებმა, ასეთ ვითარებაში როგორ აღასრულონ კანონი?

კულტურის მუშაკთა პროფკავშირს კი არაფრის გაგონება არ სურს და საკუთარი ქონების დაუყოვნებლივ დაბრუნებას მოითხოვს. მას კანონი და სამართალიც უმაგრებს ზურგს. ბარემ იმასაც მოგახსენებთ, რომ უმაღლესმა საარბიტრაჟო სასამართლომ 7 დეკემბერს საზედამხედველო წესით კიდევ ერთხელ განიხილა აღნიშნული საქმე და კვლავ დაადგინა, რომ კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ხელოვნების მუშაკთა სახლი ეკუთვნის კულტურის მუშაკთა პროფკავშირს! ხოლო რესპუბლიკის პროკურატურამ დაადგინა, რომ არ არსებობს არავითარი საფუძველი უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაპროტესტებლად.

პოლიცია, როგორც ადრე, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, არ ერევა კონფლიქტში და ლოდინის პოლიტიკას ამჯობინებს. თუმცა მას უშუალოდ ევალება უზრუნველყოს ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა.

სახელოვანი 'იუბილე

დავუბრუნდეთ პრესას, რომელიც, ქართველ კულტურის მოყვარულთა გულის გასახარად, ფართოდ გამოეხმაურა შარშან, 30 ნოემბერს (უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ) საქართველოს ხელოვნების მოღვაწეთა სახლის იუბილეს.

საიუბილეო წარმოდგენის სცენარის ავტორი და რეჟისორი, რა თქმა უნდა, ხელოვნების აკადემიის რექტორი ქალბატონი მედეა ფანიაშვილი გახლდათ.

ოღონდ ის არის უცნაური, რომ იგივე ქ-ნი მედეა ფანიაშვილი, „ამ სახლის დღევანდელი ღირსეული დიასახლისი" (ასე მოიხსენიება იგი 10-16 დეკემბრის „ქართულ კულტურაში" გამოქვეყნებულ დალი ჩიქვაიძის და დათო ქელიძის წერილში: „ფიროსმანის არ იყოს, შემოვიდგათ სამოვარი და ვილაპარაკოთ ხელოვნებაზე, ანუ რამდენიმე საღამოზე აღძრული ფიქრები") ხელოვნების მოღვაწეთა სახლის გამაუქმებელია. ვიმეორებ: დღეს, ხელოვნების მოღვაწეთა სახლი, როგორც იურიდიული პირი, აღარ არსებობს. არსებობს შენობა, რომელიც ოდესღაც, ვიდრე აკადემიად იქცეოდა, ატარებდა ხელოვნების მუშაკთა სახლის სახელს. დღეს კი არარსებული ორგანიზაციისთვის იუბილეს გადახდა და ამ ვითარებაში მისი „ღირსეული დიასახლისის" დამსახურებათა ნუსხაზე ლაპარაკი ცოტა უხერხულია.

უფრთხილდით პრესას!

დალი ჩიქვაიძის და დავით ქელიძის წერილში, სხვათა შორის, ნათქვამია: „არსებითად ყველას სათქმელი გამოხატა ქალბატონმა ნათელა ურუშაძემ თავის გამოსვლაში: — ნებისმიერი მრგვალი თარიღი წარსულისაკენ მიგვახედებს ხოლმე, — თქვა ორატორმა, — ჩვენც უკან გავიხედოთ და გავიხსენოთ 1922 წელი, როდესაც ვალერიან გუნიამ ეს სახლი დააფუძნა. მაგრამ უფრო ადრე, 1921 წლის მარტში, მისი ხელმძღვანელობით საქართველოში შეიქმნა ხელოვნების მუშაკთა კავშირი. 25 თებერვლიდან მხოლოდ ერთი თვე გასულიყო. ალბათ, მაშინაც იყო ლაპარაკი, რა დროს ამ კავშირის შექმნა არისო. იქნებ ასე ფიქრობდა უმრავლესობა, მაგრამ არა ვალერიან გუნია, რომელმაც იცოდა, რომ გაჭირვების ჟამს ადამიანში ბნელი ძალები იღვიძებენ და სწორედ ამ დროს არის საჭირო სულის საზრდო..."

ახლა „საქართველოს რესპუბლიკაში" 29 დეკემბერს გამოქვეყნებული ეკა ჯიმშელაძის წერილიდან ვნახოთ („ტრადიცია გრძელდება"): „ნებისმიერი მრგვალი თარიღი წარსულისაკენ მიხედვასაც გვაჭრდება: თვალი გადავავლოთ იმ ბობოქარ პერიოდს, როცა ცნობილმა თეატრალურმა მოღვაწემ ვალერიან გუნიამ 1922 წელს დააარსა ეს სახლი, ერთი წლით ადრე კი, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიიდან ერთი თვის შემდეგ, მისივე თაოსნობით შეიქმნა ხელოვნების მუშაკთა კავშირი. ეს მოხდა იმ დროს, როცა უმრავლესობას პირზე ეკერა, რა დროს ხელოვნებაა, ქვეყანა იქცევა, ხალხი იღუპებაო. მაგრამ ვალერიან გუნიამ კარგად იცოდა, რომ გაჭირვებისას ადამიანში ბნელი ძალები იღვიძებენ და მის გადასარჩენად სულიერი საზრდოა საჭირო"...

ეს ტყუპისცალი ციტატები ბევრ თავსატეხს უჩენს ადამიანს. უპირველეს ყოვლისა თავისი წარმომავლობით.

ქალბატონმა ნათელა ურუშაძემ ბრძანა ასეთი რამ, ეკა ჯიმშელაძემ, ვალერიან გუნიამ, თუ ჟურნალისტების ფანტაზიის ნაყოფია? ან იქნებ თვით ქალბატონ მედეა ფანიაშვილის ორგანიზატორული მოღვაწეობის შედეგია? ვისიც უნდა იყოს, ერთი რამ მართლაც გაუგებარია: რატომ არის საჭირო ზრუნვა „გაჭირვებისას ადამიანში გაღვიძებული ბნელი ძალების გადასარჩენად!" („ვალერიან გუნიამ კარგად იცოდა, რომ გაჭირვებისას ადამიანში ბნელი ძალები იღვიძებენ და მის გადასარჩენად სულიერი საზრდოა საჭირო").

„დრონში" გამოქვეყნებულ ნინო გელაშვილის წერილში (18 დეკემბერი) „მართლაც, სამარცხვინო პროცესი, ანუ ისევ ვარიაციები", მოყვანილია ციტატები იმ ისტორიული საიუბილეო საღამოს მონაწილეთა გამოსვლებიდან.

„სულხან ნასიძე —...არის საშიშროება, რომ ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონონ და ღმერთმა ნუ ქნას, რომ ასე მოხდეს".

მიჭირს დაჯერება, მაგრამ კომპოზიტორი სულხან ნასიძე „ეშმაკებში" ალბათ გულისხმობს თავის კოლეგა ჯემალ სეფიაშვილს და კულტურის მუშაკთა პროფკავშირს, რომელსაც იურიდიულად ეკუთვნის ხელოვნების მუშაკთა სახლი.

სამწუხაროდ, ამგვარი გამოსვლა ბევრს ვერაფერს შემატებს სახელოვანი კომპოზიტორის კეთილ სახელს.

„ანდრო (ანტონ თ. ქ.) წულუკიძე (მუსიკათმცოდნე) — მე მინდა ამ სახლს ვუსურვო ხანგრძლივი შემოქმედებითი სიცოცხლე, რომ არ გადაიქცეს იგი სავაჭრო დაწესებულებად (ჯიხურები არ გვაკლია)..."

სხვათა შორის, რადგან სახლი ეკუთვნის კულტურის მუშაკთა პროფკავშირს, ამ ორგანიზაციასვე ეკუთვნის უფლება, თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს იგი. რამდენადაც ვიცი, ბატონი ჯემალ სეფიაშვილი ამ შენობაში კომერციული მაღაზიის გახსნას არ აპირებს.

აღდგომა და ხვალეო...

შარშან აგვისტოში ვიწინასწარმეტყველე, რომ პროფკავშირი ვერ მიაღწევდა მიზანს, რადგან „ასეთია აქაური წესი". მეგონა უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო ვერ გაბედავდა ობიექტური განაჩენის გამოტანას. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა. თუმცა სამართლის აღსრულება მაინც ჭიანურდება („აქაური წესის" კვალობაზე).

10 იანვარს დანიშნულია ახალი აღსრულება.

აღდგომა და ხვალეო...

თეიმურაზ ძორიძე.

P. S. ათ იანვარს კიდევ ერთხელ სცადეს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება. უშედეგოდ. კიდევ ერთხელ შედგა სათანადო აქტი, სადაც სხვათა შორის, ნათქვამია „ხელოვნების აკადემიის რექტორმა ქ-ნმა მ. ფანიაშვილმა ამჯერადაც კატეგორიული უარი განაცხადა შენობის გათავისუფლებასა და ქონების გადაბარებაზე".

თ. ძ.

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

საჩხერეში სიმშვიდე უნდა სუფევდეს!

შარშან კრიმინოგენული სიტუაცია საჩხერესა და მისი ზონის სოფლებში დაძაბული იყო. 11 თვეში აქ 112 სისხლის სამართლის საქმე აღირიცხა. იმატა სახელმწიფო და პირადი ქონების ქურდობა-ყაჩაღობის, ავტომანქანების გატაცების ფაქტებმა.

— ერთობლივად ვუტევთ დამნაშავეთა სამყაროს — გვეუბნება საჩხერის კრიმინალური პოლიციის უფროსი **რამაზ კაპანაძე.** — აი, დღესაც პოლიციაში რაიონის პროკურორისა და საჩხერის გვარდიის ბატალიონის მეთაურის სტუმრობაც იმან განაპირობა, რომ ყაჩაღები პოზიციებს არ თმობენ. ახლახან, ავტომატური იარაღით აღჭურვილი, დღემდე დაუდგენელი შვიდი ყაჩაღი თავს დაესხა თავისსავე ბინაში, მოდინახეს ქუჩაზე მცხოვრებ ლუღუნა ნიკოლოზის ასულ შუბითიძეს, დაუნდობლად სცემა და მოკვლის მუქარით ბინიდან გაიტაცეს ძვირფასი ნივთები, სხვადასხვა სახის ფასეულობანი და ფული. ასევე, ჯერჯერობით უცნობი ქურდ-ბაცაცები შეიპარნენ სოფელ კალვათაში მცხოვრებ გულიაშვილების ოჯახში და მათი გომურიდან ექვსი სული თხა და ცხვარი წალალეს.

საუბარში რაიონის პროკურორი **კოტე ყიფიანი** ჩაერია: — საჩხერესა და მის ზონაში 11 თვეში მომხდარ საერთო დანაშაულთა 51,7 პროცენტია გახსნილი, ვცდილობთ დანარჩენებიც არ დაგვრჩეს უყურადღებოდ — ამბობს იგი.

— უნდა შევკრათ რაიონის შემოსასვლელ-გასასვლელები, ჩვენი დღევანდელი თათბირიც ამ მხრივ ერთობლივად გასატარებელ ღონისძიებებს ეხება. რადაც უნდა დაგვიჯდეს, ხალხს სიმშვიდე უნდა დავუმკვიდროთ... — ამას საჩხერის ბესიკ ქუთათელაძის სახელობის გვარდიის ბატალიონის მეთაური **სოსო ქუთათელაძე** ამბობს.

...და ჩვენც გვჯერა ამ ხალხისა.

სოზარ კუპატაძე.

ახალი წიგნი

„ჩვენი ნონა"

ახლახან წიგნის მაღაზიებში გამოჩნდა ცნობილი ქართველი საჭადრაკო მიმომხილველისა და ამ ბრძნული თამაშის თავდადებული მემატიანის, დოცენტ თენგიზ გიორგაძის ახალი, 84-ე წიგნი „ჩვენი ნონა".

ცხადია, წიგნის გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პირობა ის არის, თუ ვინაა მისი გმირი, ნონა გაფრინდაშვილი კი, რომელსაც ეძღვნება ეს წიგნი, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქალია საქართველოში და უცხოეთის სპორტულ სამყაროში. ეს პოპულარობა ნონამ უწინარესად, ასე ვიტყოდი, თავისი გმირული სპორტული ბიოგრაფიით მოიპოვა. სწორედ ეს დიდი სპორტული გზაა აღწერილი წიგნში, თანაც ისე მიმზიდველად, საინტერესოდ და ოსტატურად, რომ წიგნი კარგი მხატვრული ნაწარმოებივით იკითხება.

ამ წიგნის ხიბლი ის არის, რომ ავტორი უმრავლეს შემთხვევაში თან ახლდა ნონას და მისი წარმატებების უშუალო მოწმე იყო, რამაც წიგნს თავიდან აცილა ხელოვნურობა და ზერელობა (რითაც, სამწუხაროდ, ზოგიერთი სპორტული ჟურნალისტის წიგნებია დაავადებული).

ასევე მიმზიდველია თხრობა ნონას ოჯახზე.

წიგნს ერთვის მრავლისმეტყველი ცნობები, ფოტოები და ცხრილები, აგრეთვე ნონასადმი მიძღვნილი ლიტერატურის ანალიტიკური ბიბლიოგრაფია.

დამებადა სურვილი, რომ ამ შესანიშნავ წიგნში მოკლედ მაინც თქმულიყო რაიმე ნონა გაფრინდაშვილის, როგორც საზოგადო მოღვაწის, უწინარესად კი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის შესახებ. მე, როგორც აღნიშნული კომიტეტის აღმასკომის წევრს, მიხდება ქალბატონ ნონასთან ერთად მოღვაწეობა და ვფიქრობ, რომ ამ მხრივაც ბევრი საინტერესო მასალის მიწოდება შეიძლებოდა მკითხველისთვის.

დასასრულ, მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ბატონ თენგიზ გიორგაძეს ამ კარგი წიგნისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთივე მადლიერების გრძნობა გაუჩნდება ყველას, ვინც მას წაიკითხავს.

ავთანდილ ციბაძე,
პროფესორი.

წარმატება უნგრეთში

დიდი წარმატებით გამოვიდნენ ქართველი ტანმოვარჯიშე ვაჟები უნგრეთის ქალაქ კიშკუნჰალაშში დამთავრებულ პეტერ ტულიტას ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც 10 ქვეყნის სპორტსმენები ცდიდნენ ძალებს.

უფროსი ასაკის ჭაბუკთა შორის (1977 წ. დაბადებულები) მრავალჭიდში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა თბილისელი ალექსანდრე თვაური. იგი უძლიერესი იყო ლერძზე, ტაიჭსა და თავისუფალ ვარჯიშში, „ვერცხლი" დაისაკუთრა რგოლებსა და ორძელზე, ხოლო ხტომებში მესამე შედეგი აჩვენა.

ტრიუმფალური შეგვიძლია ვუწოდოთ მეორე ასაკობრივი ჯგუფის (1978 წ. დაბადებულები) აბსოლუტური ჩემპიონის ქუთაისელი ილია გიორგაძის ასპარეზობას. რიონისპირელ ჭაბუკს ბადალი არ ჰყავდა ლერძზე, ორძელზე, რგოლებზე, ხტომებსა და თავისუფალ ვარჯიშში. ერთადერთი იარაღი, რომელშიც მან მინიმალური უპირატესობით — 0,05 ქულით დათმო პირველობა (ადგილობრივ მსაჯთა „დამსახურებით"), ტაიჭი გახლდათ.

ლოგიკურია, რომ ასეთი მაჩვენებლების შედეგად სწორედ ილია გიორგაძეს გადაეცა სპეციალური პრიზი ყველაზე ტექნიკური მონაწილისა და მრავალჭიდში საუკეთესო შედეგისათვის (თანაც, ერთსულოვნად). მის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი — 57 საერთაშორისო ოსტატის ნორმას შეესაბამება.

შეგახსენებთ, რომ ილიამ რამდენიმე თვის წინ ფურორი მოახდინა რუსეთის ქალაქ ვლადიმირში გამართულ ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირზეც.

ფოთის ნავსადგური განსაკუთრებულ კონტროლზეა

როგორც ფოთის ნავსადგურის უფროსმა ვალერიან გეგიძემ გვაცნობა, ფოთის სატვირთო ნავსადგური რამდენიმე დღე პარალიზებული იყო ელექტროენერგიის ხშირად გამორთვის გამო. ამიტომ უმნიშვნელოვანესი ტვირთების გადმოცლა ხომალდებიდან შეჩერდა. ნავსადგურში დაცლას ელოდება ხორბლით დატვირთული ხომალდიც, რომლის სამუშაოებსაც ვერ იწყებენ.

საქინფორმის კორესპონდენტი დაუკავშირდა დეპარტამენტ „საქენერგოს", სადაც აცნობეს, რომ შეფერხებები დაძლეულია, და ფოთს უკვე მიეწოდება 27 მეგავატი ელექტროენერგია საათში. ფოთის ნავსადგურის მუშაობა განსაკუთრებულ კონტროლზეა აყვანილი.

მთავარი რედაქტორი გურამ ბოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, გ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

ინდექსი 66434